# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№37 (1547) 19–22 აპრილი, 1997 წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა


# ისტორიის მოპარვა

## აკაკი ბაქრაძე



*ჩიტმა ამბავი მოიტანა: „დამოუკიდებელი" აფხაზეთის ხელისუფლებას ლეონ მეორის ორდენი დაუწესებია. დაუჯილდოებია კიდეც ამ ორდენით ზოგიერთი, ვინც მეტად გულმოდგინედ იბრძოდა საქართველოს დაშლისათვის. ისე კი, დიდი მასხარა ვინმეა ისტორია: იმათ, ვინც საქართველოს დანგრევისათვის თავს არ ზოგავდა, აჯილდოებენ იმ კაცის ორდენით, ვინც არაბთა შემოსევის შედეგად დაქცეულ საქართველოს ხელახალ აღორძინება-გაერთიანებას შეალია მთელი ცხოვრება.*

*მაინც ვინ იყო ლეონ მეორე და რა ვიცით მასზე?*

ერთადერთი წყარო მისი საქმიანობის გასაცნობად „ქართლის ცხოვრება". სხვა მატიანე არ არსებობს. თუმცა, მაინცდამაინც სიტყვაუხვი არც ქართველი ჟამთააღმწერელია. „მატიანე ქართლისაი" რამდენიმე სტრიქონით კმაყოფილდება.

„ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკუიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა".

რაკი ლეონ მეორე ლეონ პირველის ძმისწულია, ცოტა რამ ლეონ პირველზეც ვთქვათ.

ლეონ პირველი აფხაზეთის მმართველად ბიზანტიელებს დაუსვამთ. „ერისთავი კეისრისა" – უწოდებს მას მემატიანე ჯუანშერი. კეისრის ერისთავს


3


# ნოდარ ჯავახიშვილი აკრედიტებს რუსეთის ჯარების ამიერკავკასიის ჯგუფის მეთაურის თანაშემწეს (?!)

საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ჩანს, განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა რუსეთის სამხედროების ამიერკავკასიის დაჯგუფებას. მათთან ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით თურმე არ ერიდებოდა მეტად სარისკო საეჭვო ოპერაციებსაც. ასეთი ოპერაციებისათვის ბ-ნ ნოდარ ჯავახიშვილს „რამდენიმე შერჩეული" ბანკი ყოლია. მათ რიცხვს მიეკუთვნება სააქციო კომერციული ბანკი „ნარიყალა", რომელიც ბატონი პრეზიდენტის „განსაკუთრებულმა მზრუნველობამ" თვითლიკვიდაციამდე და პროკურატურის „კარამდე" მიიყვანა. ამ ბანკისათვის მილიარდობით რუსული რუბლის რესურსად გაცემა, მისი შედეგები ცალკე საუბრის თემაა, ამჟამად მხოლოდ ერთი „საინტერესო" გარიგების ისტორიას გაგაცნობთ.

1995 წლის ოქტომბრის თვეში ეროვნულ ბანკს თხოვნით მიმართა სააქციო კომერციული ბანკის „ნარიყალას" ხელმძღვანელობამ (წერილი №7-002/88) ამ ბანკისათვის 185000 ლარის კრედიტის გამოყოფის თაობაზე. წერილში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ეს თანხა მიმართული იქნებოდა საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ოლქის კომუნალური მომსახურების, საწვავის და ხელფასის დავალიანების დასაფარავად. ბ-ნმა ნოდარ ჯავახიშვილმა „გულთან მიიტანა" რუსი სამხედროების წუხილი და ბანკ „ნარიყალაზე" 1995 წლის 31 ოქტომბერს გასცა კრედიტი 185000 ლარის ოდენობით იმავე წლის 10 ნოემბერს დაფარვის პირობით. შესაბამისად გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება ბანკ „ნარიყალასა" და რუსეთის ჯარების ამიერკავკასიის დაჯგუფების მეთაურის თანაშემწე ვინმე ვეკარიტოვს შორის. ვეკარიტოვი ვალდებული იყო შესაბამისი კურსით რუსული რუბლი ჩაერიცხა რუსეთის კომერციულ ბანკ „როსიისკი კრედიტ"-ში (ჩერიომუშკის ფილიალში) კომერ-


4


# კახა თარგამაძე: სარიშვილისა და თევდორაძის ლოგიკით, მე პოლიციის ლიკვიდაცია მინდა, კვირაიას – უშიშროებისა...

*საუბრობენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი*
***კახა თარგამაძე***
*და გაზეთ „საქართველოს" მთავარი რედაქტორი*
***ნოდარ გრიგალაშვილი***



***ნ. გ.*** *– ბატონო კახა, სპეცდანიშნულების რაზმ „ომეგასთან" დაკავშირებით შექმნილია განსაკუთრებული ვითარება. გაიმართა რამდენიმე პრესკონფერენცია, პარლამენტარმა ი. სარიშვილმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ „ომეგას" წევრებს ებრძვიან სამართალდამცავი ორგანოები. შემდეგ პარლამენტარმა ელენე თევდორაძემ გამართა იმავე შინაარსის პრესკონფერენცია. პრესაშიც რამდენჯერმე გამოქვეყნდა მსგავსი ხასიათის წერილები. არის კონკრეტული ბრალდებები სამართალდამცავ ორგანოთა მისამართით, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს ასე: „ომეგას" წევრები – (ორმოცდაათი კაცი), რომლებიც მომზადებულნი*

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №30,31,32,34,35,36.


2


# რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო მასალა

## უღრუბლო ცაა აფხაზეთში?

გაოცებას იწვევს საქართველოს ხელისუფლების წინადადება, გაფართოვდეს მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების (მმკძ) პასუხისმგებლობის ზონა და დაემატოს მმკძ მანდატს მათთვის პოლიციური უფლებების მინიჭება იმ დივერსიულ და პარტიზანულ ჯგუფებთან საბრძოლველად, რომელთა საქმიანობასაც საქართველოს უშიშროების სამინისტრო წარმართავს. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამ წინადადების პრაქტიკული რეალიზება მოსახლეობის მხრიდან უარყოფით შეფასებას და პროტესტს გამოიწვევს. ამიტომ ეს ღონისძიება ნაადრევია, ვიდრე არ ჩატარდება რაიონული და ადგილობრივი არჩევნები და არ შეიქმნება სამართალდამცავი ორგანოები.

მმკძ პრაქტიკულად არ ძალუძთ სრული კონტროლის განხორციელება მოსახლეობის მიგრაციაზე, უსაფრთხოების ზონაში შეიარაღებული ჯგუფებისა და პარტიზანების გადმოსვლაზე, ვინაიდან მდინარე ენგურზე არსებობს დაახლოებით 50 გადასასვლელი, მმკძ კი მხოლოდ ძირითად საავტომობილო მაგისტრალებს აკონტროლებენ.

1996 წლის დეკემბერში მმკძ ინიციატივით გაიმართა დაპირისპირებულ მხარეთა, გაერო-ს დამკვირვებელთა და სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა ერთობლივი შეხვედრა. მასზე დასკვნითი დოკუმენტი არ მიღებულა, მაგრამ სხდომის ოქმის ანალიზი ცხადყოფს პოზიციათა ურთიერთშერბილების ტენდენციას, რაც იმაში გამოიხატება, რომ გამოითქვა მოსაზრება გადაწყვიტონ კონკრეტული საკითხები და არ განიხილონ აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები. აფხაზეთის წარმომადგენლები მნიშვნელოვან დათმობებზე (ლტოლვილთა მასობრივი დაბრუნება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნა) მიდიან, რათა სამაგიეროდ რუსეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციების მოხსნა უზრუნველყონ. საქართველოს წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა, უზრუნველყონ მოსახლეობის უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა, ოღონდ დაბრუნებული ლტოლვილების ყოფა-ცხოვრების პირობების მოსაგვარებლად ფინ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №35, 36


3


# რომან გოცირიძე: დეპუტატთა ერთი ნაწილი დაქირავებული მექადაგებლის როლშია...



*მიმდინარე საპარლამენტო კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარლამენტის მიერ თავისუფალი ეკონომიკური ზონის კანონპროექტის ჩაგდება და, აქედან გამომდინარე, აჭარის დეპუტაციის ისტერიული დემარში.*

*ამ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს მთავრობის ყოფილ ვიცე-პრემიერს, კერძო საკუთრების დაცვის ლიგის პრეზიდენტს ბ-ნ რომან გოცირიძეს.*


6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მხედრიონი“ ბრუნდება?

პატივცემულო რედაქციავ, გაზეთ „საქართველოს“ წინა, 36-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი – „ვისაც შუშის სახლი აქვს, სხვებს ქვებს არ უნდა ესროდეს“, რომელშიც ასახული იყო ის დემაგოგიური ქმედებანი, რომელსაც ვინმე კორკოტაძე ეწევა სააქციო საზოგადოება “მეტალოპლასტიკის“ მიმართ.

თავს ნებას მივცემ საჯაროდ გამოვიტანოთ ერთი ფაქტიც, რომელსაც სწორედ ამ დღეებში ჰქონდა ადგილი და რომელიც თუ ამთავითვე არ აღიკვეთა, კვლავ იმ საშინელი დროის დაბრუნების სიმპტომი იქნება, როცა ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტა ძალისმიერი მეთოდებით ხდებოდა.

თქვენი წინა პუბლიკაციიდან მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ სააქციო საზოგადოება „მეტალოპლასტიკას“ ჯავახიშვილის დამპატიჟესავით საკუთარი ქონების წართმევას უპირებს ვინმე კორკოტაძე. „მეტალოპლასტიკის“ კუთვნილ ხაშურის საამქროში გადავწყვიტეთ არასაუწყებო დაცვის დაყენება. ხელშეკრულების გაფორმების მიზნით 14 აპრილს ვეახლეთ შსს ხაშურის შესაბამის განყოფილებას. ხელშეკრულების გაფორმების პროცესში „მეტალოპლასტიკის“ წარმომადგენლებს შემოგვეჭრნენ ჩუმათელეთში მცხოვრები მამაშვილი კორკოტაძეები, რომელთაც თან ახლდათ ვინმე რომან ცხვედაძე. ჩვენთვის უცნობია, ასე ოპერატიულად თუ როგორ შეიტყვეს მათ ჩვენი იქ ყოფნა, მაგრამ ის კი ნამდვილად ცნობილია, რომ არათუ შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის კაბინეტში, არამედ ქუჩაშიც კი აკავებენ მოძალადეებს. იყო დრო, როცა მხედრიონის წევრები პოლიციელებს საკუთარ კაბინეტებში ულტიმატუმებით ელაპარაკებოდნენ, მაგრამ გულუბრყვილოდ ვფიქრობდით, დღეს მაინც დადგა სტაბილიზაციის ხანაო.

მოხდა ის, რომ მათი შემოჭრისა და მუქარის – თუ დაცვის ხელშეკრულებას გააფორმებთ, თქვენს ცხედრებს გაიტანენ აქედანო, შემდეგ საკუთრების დაცვის განყოფილებამ ჩვენთან ხელშეკრულების გაფორმება ვეღარ შეძლო...

მიუხედავად იმისა, რომ ავუხსენით, ხვალიდან ე.ი. 15 აპრილიდან საამქრო შეიძლებოდა დაცვის გარეშე დარჩენილიყო.

ძალადობის ფაქტი, რა თქმა უნდა, არც პირველია და არც უკანასკნელი ამ ქვეყანაზე, მაგრამ მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა იყოს, როცა ძალადობის ფაქტი საკუთრების დაცვის პოლიციის განყოფილების უფროსის კაბინეტში ხდება და გამარჯვებული სწორედ მოძალადე გამოდის...

ანზორ ჩოჩიშვილი
ამ „გაუგებრობის“
შემსწრეთაგანი

## ვინ ვინ არის?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# კახა თარგამაძე: სარიშვილისა და თევდორაძის ლოგიკით, მე პოლიციის ლიკვიდაცია მინდა, კვირაიას – უშიშროებისა...

პირველი გვერდიდან

*იყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში და მათ მომზადებაში გადახდილია უზარმაზარი თანხები, დაბრუნდნენ რა ისინი საქართველოში, მიღებული ცოდნისა და მომზადების ფასად „დაჯილდოვდნენ“ საპატიმროებით ან ტყვიით. სამი კაცი დაღუპულია, რამდენიმე იძებნება, ნაწილი დაკავებულია 29 აგვისტოს ტერაქტის მცდელობისას, ნაწილი ეჭვმიტანილია ახალი ტერორისტული აქტის მზადებაში. მათზე ბრალდებები კი „ომეგას“ განადგურებით დაინტერესებული პირების მიერ ხელოვნურად არის შეთხზული. ასეთია პარლამენტარ სარიშვილისა და თევდორაძისაგან არცთუ სასიამოვნო ბრალდებები თქვენი და კვირაიას მისამართით. თქვენგან, როგორც პირველი პირისგან, ამ საკითხებს ნათელი უნდა მოეფინოს. რა ხდება?*

**კ.თ.** – ბატონო ნოდარ, საერთოდ, რამდენად არის მისაღები, რომ პრესკონფერენციებზე და პრესკონფერენციის დონეზე მოხდეს სისხლის სამართლის საქმეების გარჩევა? ამის განსჯა საზოგადოებისთვის მომინდვია. მითუმეტეს, ისეთი მძიმე, რთული სისხლის სამართლის საქმეებისა, როგორიც არის ტერორისტული აქტის ჩადენა თუ ტერორისტული აქტის მცდელობა. ვერ გეტყვით, რამდენი კაცი მომზადდა აშშ-ში „ომეგადან“, რა დაჯდა მათი მომზადება, მაგრამ ვინც არ უნდა მომზადებულიყო და რაც არ უნდა დახარჯულიყო ამ ხალხის მომზადებაზე, კანონით, პიროვნება, რომელიც ჩადის ძალიან მძიმე დანაშაულს და მით უმეტეს, მონაწილეობას იღებს ტერორისტულ აქტში, უნდა იქნეს იზოლირებული საზოგადოებიდან.

რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტში მონაწილეობასთან დაკავშირებით დასახელებული იყო რამოდენიმე პიროვნების გვარი, მათ შორის კვეზერელის, გოგოტიშვილის და სხვების. იცით, მე მიკვირს, ხალხი, რომლებიც აბსოლუტურად ვერ ერკვევიან იურისპრუდენციაში, ვერ ერკვევიან, როგორ უნდა მოხდეს დანაშაულის შეფასება, დაინტერესებული პირების, ამ შემთხვევაში იგულისხმება დაკავებულთა ახლობლები, ინფორმაციების დონეზე ავრცელებენ ისეთ დეზინფორმაციებს პრესისა და სხვა მაუწყებლობების საშუალებით, პირდაპირ გაოგნდები ადამიანი. გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ საქმეებზე არ აწარმოებდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გახსნა დანაშაულობები და დააპატიმრა ეჭვმიტანილნი. ხოლო გამოძიებას აწარმოებს რესპუბლიკის პროკურატურა. მე მინდა ამას განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, ვინაიდან იმ პრესკონფერენციებზე რამოდენიმეჯერ გაიჟღერა – რატომ იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტრო მათ საქმესო! არ გამოუძიებია, არც იძიებს და არც ყოფილა გამოძიებაში შინაგან საქმეთა სამინისტროში ეს საქმე.

***ნ.მ.*** *– თუ თქვენ არ იძიებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არა გაქვთ სრული ინფორმაცია მათ შესახებ?*

**კ.თ.** – არა, არა, პირიქით, დანაშაული გახსნილია ჩვენს მიერ, ჩვენი ხალხი გამოძიებაში მონაწილეობს, მაგრამ მათ გადაწყვეტილების მიღების უფლება დაპატიმრებაზე არ აქვთ. ამის უფლება გააჩნია გამოძიებას.

ვიმეორებ, ამ დანაშაულის საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ იძიებს, იძიებს პროკურატურა. დამნაშავენი იქნებიან პოლიციიდან თუ სამხედრო სამსახურიდან, ყველა შემთხვევაში, მათ საქმეს აუცილებლად იძიებს რესპუბლიკის პროკურატურა.

მე მინდა ორიოდე სიტყვით გითხრათ, რაშია საქმე.

ზოგჯერ მიკვირს იმ ხალხის, რომლებიც ყველაფრის ცოდნაზე დებენ თავს მე ექიმობას, ჟურნალისტობასა თუ რიგ სხვა პროფესიებში კომპეტენტურობას ვერ დავიბრალებ. ვაკეთებ იმ საქმეს, რაც ვიცი. ყველამ ის საქმე უნდა აკეთოს, რაშიც კომპეტენტურია. აქ საუბარი იყო იმ პრესკონფერენციებზე...

პრესკონფერენციებზე, სადაც ჩვენი ძვირფასი პარლამენტარები აცხადებენ, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ორგანიზებულად ანადგურებენ „ომეგას“ ხალხს. ის პირები დაპატიმრებული იქნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და თუ მათ მოქმედებაში არ იქნებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, გამოძიება და რესპუბლიკის პროკურატურა მათ მიმართ არ გადაწყვეტდა აღმკვეთი ღონისძიებების გამოტანას. არასერიოზულად მიმაჩნია ისიც, რომ აცხადებენ, თითქოს ვილაცას ეგონა ჯაბა იოსელიანს ვაფეთქებო და შევარდნაძის დანახვისას არ დააჭირა პულტს ხელი, რისთვისაც თურმე გმირად უნდა გამოცხადდეს და ა.შ.

შეიძლება საქმე იმ დონეზე მივიდეს, რომ ამ ხალხისათვის მედლების ჩამოკიდება მოგვთხოვონ. ესენი არიან პიროვნებები, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის ძალიან მძიმე დანაშაული, წაყენებული აქვთ ბრალდება დანაშაულისთვის და საბოლოოდ არიან დამნაშავეები თუ არა, ეს უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ და პრესკონფერენციებზე არ უნდა გადაწყდეს ამ პიროვნებების ბედი...

***ნ.მ.*** *– კონკრეტულად გოგოტიშვილი რაზეა მხილებული?*

**კ.თ.** – გოგოტიშვილი იმხილება გოგა გელაშვილთან ერთად 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით.

***ნ.მ.*** *– ეს ცნობილია, მაგრამ გოგოტიშვილი თუ ამბობს და აჩვენებს, რომ დავალებული ჰქონდა გიორგაძისგან იოსელიანის აფეთქება, ხოლო როცა შევარდნაძე დაინახა, პულტს აღარ დაიჭირა ხელი. მაშინ შევარდნაძის ბედი მართლა მან გადაუწყვეტია...*

**კ.თ.** – ყველაფერი ეს, ბ-ნ ნოდარ, არის ჩვეულებრივი ლეგენდა, არის ჩვეულებრივი „ბლეფი“ და პრესკონფერენციების ორგანიზატორების საპასუხოდ ვერ გავცემ იმ საიდუმლოებას, რა მასალებიც ჩვენ გაგვაჩნია ამ პირების მიმართ...

***ნ.მ.*** *– მაგრამ, ფაქტია, რომ გოგოტიშვილის ჩვენება გამოქვეყნდა, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მან არ დააჭირა ხელი ღილაკს. მე მესმის, რომ დააჭირა, თუ არ დააჭირა, დასასჯელია ყველა შემთხვევაში, რაკი კაცის მოსაკლავად წავიდა. სხვა რომ ყოფილიყო, რა, უნდა დაეჭირა იმ ოხერი ღილაკისათვის ხელი?*



„ომეგას“ წევრები ამერიკული დიპლომებით

**კ.თ.** – ის მონაწილეა ტერაქტისა, დააჭირა თუ არ დააჭირა. რაც შეეხება მისი დანაშაულის სიმძიმის საკითხს, დაადგენს სასამართლო.

***ნ.მ.*** *– მაგრამ აქ ლაპარაკია არაორდინალურ მომენტზე. ფაქტმა, რომ გოგოტიშვილმა დააგვიანა ხელის დაჭერა, სახელმწიფოს პირველი პირი გადაარჩინა.*

*კანონი კანონია. მაგრამ მწერლისთვის ეს ფსიქოლოგიური ნოველის დიდი თემაა.*

**კ.თ.** – ეს ყველაფერი არის ვერსია, ბ-ნო ნოდარ, ასეთი ვერსია შეიძლება არსებობდეს უამრავი. უამრავი ვერსია დგება გამოძიების საკითხში, ეს უნდა იყოს სასამართლოზე განსახილველი საქმე. მიმდინარეობს კომპრომეტაცია სამართალდამცავი ორგანოების, თითქოსდა მოხდა ფაბრიკაცია რაღაც საქმეების. ახლა ვიღაცა იტყვის, რომ გოგოტიშვილი გმირი გამოვიყვანოთ, პრეზიდენტი გადაურჩენიაო, ახლა სხვები იტყვიან, არ მიუღია დანაშაულში მონაწილეობაო. იცით, უამრავ ქვეყანაში მიზანიც კი ტერორისტული აქტის ჩადენისა უმაღლესი დონით ისჯება.

ჩვენი ტერორისტები კი აუცილებლად უნდა ჩაითვალონ გმირებად. ნამდვილი პარადოქსი თუ გინდათ, ეს არის... ღმერთმა დამიფაროს იმ სურვილისაგან, რომ ის ბიჭები, რომლებიც ამერიკაში იყვნენ გაგზავნილნი, იქნენ ლიკვიდირებულნი. საღ ადამიანს ეს თავში რატომ უნდა მოუვიდეს? „ომეგას“ დისკრედიტაცია რატომ უნდა იყოს ჩვენი მიზანი? მაგრამ რა ვქნათ, მოხდა დანაშაული და ამ დანაშაულის გახსნისა და მსვლელობის პროცესში მხილებულ იქნენ ის პირები, რომლებიც „ომეგას“ წევრებიც არიან. ჩვენი ბრალია, რომ მძიმე დანაშაული ჩაიდინეს? როცა ჩვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დავიჭირეთ ამას წინათ სოგარეტების გახმაურებულ საქმეზე, რა, შსს-ს ლიკვიდაცია გვქონდა მიზნად? სარიშვილისა და თევდორაძის ლოგიკით ასე გამოდის: მე პოლიციის ლიკვიდაცია მინდა, კვირაიას კი – უშიშროებისა, თუკი თავის მუშაკს ამხელს დანაშაულში. აბა, რა გამოდის? თუკი ტერორისტები „ომეგადანაც“ იყვნენ და დავიჭირეთ, ამით მთელს ომეგას რატომ ვებრძვით. ჩვენ რა, უდანაშაულო „ომეგელი“ რომელი დავიჭირეთ?

მეორე ფაქტთან, ტერაქტის მცდელობასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით გესაუბრებით, ვინაიდან მეორე ფაქტზე უფრო პრესკონფერენციებზე გამახვილებული ყურადღება...

გაგრძელება იქნება

## „ე.შევარდნაძემ შეკითხვა თავის სამხედროებს დაუსვას“

ვ.არძინბამ კატეგორიულად უარყო საქართველოს პრეზიდენტის განცხადება - ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს აფხაზეთისათვის რუსეთის შეიარაღების გადაცემის თაობაზე. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს მოსკოვში, საქართველოს საელჩოდან აცნობეს. ვ.არძინბამ საქართველოს პრეზიდენტის გამონათქვამს „თბილისის მორიგი პროვოკაცია უწოდა“. „თუ ე.შევარდნაძეს აინტერესებს, საიდან მიეწოდებოდა აფხაზურ არმიას იარაღის არსენალი, ეს შეკითხვა მან თავის სამხედროებს დაუსვას“, - განაცხადა არძინბამ. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია იმის გამოძიება, რატომ გამოიყენა საქართველომ ეროვნებათაშორის კონფლიქტში ყოფილი საბჭოთა არმიის შეიარაღება, რომელიც მას 1992 წლის ტაშკენტის შეთანხმების თანახმად გადაეცა - რისი უფლებაც არ ჰქონდა. (იფრინდა)

## ვ.არძინბა იმუქრება

აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლებამ 16 აპრილს, სატელეფონო კავშირის გაწყვეტის გამო, საქართველოს პროტესტი განუცხადა და ადეკვატური ზომები მიიღო. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს სახ.კანცელარიიდან სარწმუნო წყარომ აცნობა.

„მსგავსი ქმედება ყველა ადრე მიღებული დოკუმენტის და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა. აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ საერთაშორისო კავშირის გაწყვეტა მკვეთრად გააუარესებს აფხაზეთსა და საქართველოს შორის დამოკიდებულებას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს შემდგომი მოლაპარაკებების გამართვას კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე. აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლება ასევე იტოვებს უფლებას გადამწყვეტ ქმედებებზე“, - ნათქვამია განცხადებაში. (იფრინდა)

## სოხუმში აფეთქებები გახშირდა

15-16 აპრილს სოხუმში ძლიერი აფეთქებები მოხდა. დაზიანდა და დაინგრა ცენტრალური სატელეფონო სადგურის, უზენაესი სასამართლოს, აეროპორტისა და სხვა ადმინისტრაციული ნაგებობები. ოფიციალური წყაროების ცნობით, არის მსხვერპლი. (ბი ჯი აი)

## რუსეთი შეუთავსებლის შეთავსებას ცდილობს

მსუბუქად რომ ვთქვათ, გასაოცარია საქართველოს პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა გადაწყვეტილება რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის გაფართოების შესახებ არ სრულდება, რადგან რუსეთმა ორივე მხარის ინტერესები და შეხედულებები უნდა გაითვალისწინოს, - ეს განცხადება, ოფიციალური წყაროების ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების ერთ-ერთ მაღალ ჩინოსანს ეკუთვნის. (ბი ჯი აი)

# ისტორიის მოპარვა

## აკაკი ბაქრაძე

პირველი გვერდიდან

უჭირავს ტერიტორია კლისურას (ანუ დღევანდელი კელასურის) ჩრდილოეთით მდინარემდე დიდისა ხაზარეთისა.

(„ქართლის ცხოვრებაში“ ორი ჰიდრონიმია მოხსენიებული - მდინარე დიდისა ხაზარეთისა და მდინარე მცირისა ხაზარეთისა. ჩვენ არ ვიცით, რომელ მდინარეებს ერქვათ ეს სახელები. არის გამოთქმული სხვადასხვა ვარაუდი, მაგრამ უტყუარი და დამაჯერებელი არცერთია. უეჭველი მხოლოდ ის არის, რომ ორივე მდინარე დიდი ხაზარეთისაც და მცირე ხაზარეთისაც ჩრდილოეთ კავკასიაშია).

იმჟამად, როცა აფხაზეთის ერისთავად ლეონ პირველი დასვეს, ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე ბიზანტიის ხელშია. ეს ტერიტორია „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ხშირად არის სადაო საქართველოსა და ბიზანტიას შორის. ამ მიწა-წყლის ფლობა ბიზანტიას სჭირდება იმიტომ, რომ ჩრდილოეთ კავკასია ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდეს და არც ხაზარებს მისცეს შავ ზღვაზე ნავარდის საშუალება. მართალია, ტერიტორია ბიზანტიას უჭირავს, ერისთავსაც კეისარი სვამს, მაგრამ ბიზანტიელებმა იციან, რომ ეს მიწა-წყალი ქართულია, საქართველოს ნაწილია. ისინი ლეონ პირველს აფრთხილებენ - „კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა“. ეს მარტო კეთილმეზობლური ურთიერთობის სურვილით არ თქმულა. იგი აღიარებაა იმისა, რომ ბიზანტიას დროებით უჭირავს ტერიტორია კლისურიდან (კელასურიდან) დიდი ხაზარეთის მდინარემდე.

მაშინ საქართველოს დიდი გასაჭირი ადგა. არაბთა შემოსევებმა გააპარტახეს საქართველო, აღმოსავლეთიც და დასავლეთიც. მურვან-ყრუმ სოხუმი, ანუ ცხუმი, მოაოხრა. ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა. მისი ჯარი უმრავლესი ყოფილა ქალაქთა ეგრისათა. მაგრამ ყრუმ სოხუმს იქით წასვლა ვეღარ გაბედა. მაშინ ბიზანტიას უნდა შებმოდა უშუალოდ. როგორც ჩანს, იმხანად ბიზანტიასთან ომი ამ რეგიონში არაბთა გეგმაში არ შედიოდა.

რაკი საქართველოს ეს ნაწილი ბიზანტიელების მიერ არის დაცული, ქართლის მეფეები მირ და არჩილ იქ არიან თავშეფარებულნი. სამივე ერთად, ქართლის მეფენი მირ და არჩილ, აფხაზეთის ერისთავი ლეონ, ელჩს აგზავნიან ბიზანტიის იმპერატორთან. აუწყებენ ყველაფერს. შეწევნას ითხოვენ. მაგრამ ბიზანტიის კეისარს იმჟამად სხვა არაფერი ძალუძს, გარდა სიტყვიერი ნუგეშისცემისა და მომავლის იმედით გამხნევებისა.

ფრიად მნიშვნელოვანია ის, რასაც ამის მერე გვიყვება ჯუანშერი.

ქართლის მეფე მირი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ძმას, არჩილს, ანდერძი დაუტოვა: არ მყავს მემკვიდრედ ვაჟი. მყავს შვიდი ასული. გაათხოვე ისინი. „განუყავ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცია შენდა და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია“.

დააკვირდით გულისყურით ამ სტრიქონებს. ქართლი ერთი ქვეყანა არ არის. ბევრია - „ქვეყანანი ქართლისანი“. არც მარტო აღმოსავლეთ საქართველოა ქართლი. „ქვეყანანი ქართლისანის“ ცნებაში ისევე შედის ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია, როგორც თავად ქართლი (ერთი პროვინციის მნიშვნელობით). „ქვეყანანი ქართლისანი“, ანუ მარტივად ქართლი, ფართო შინაარსის ცნებაა. იგი აღნიშნავს იმასაც, რასაც დღეს დასავლეთ საქართველოს ვუწოდებთ და იმასაც, რასაც აღმოსავლეთ საქართველო ჰქვია. აფხაზეთიც „ქვეყანანი ქართლისანიში“ შედის. ამას მალე დავინახავთ.

არჩილი ძმის ანდერძის შესაბამისად მოიქცა.

მირის ერთი ასული გუარამ კუროპალატის შვილს მიათხოვა. გუარამ კუროპალატი კლარჯეთისა და ჯავახეთის მფლობელია.

მეორე ასული იმ პიტიახშს გააყოლა ცოლად, რომელიც თრიალეთის, ტაშირის, აბოცის პატრონი იყო.

მესამე ასული ნერსეს ნერსესიანს მისცა. ეს ნერსესი ვახტანგ გორგასლის ნათესავი ყოფილა.

მეოთხე ასული ადარნასე ადარნასიანმა შეირთო.

მირის მესამე და მეოთხე ასულს არჩილმა ზენა სოფელი, ანუ ქართლი გაუყო. აქ უკვე ვიწრო მნიშვნელობით იხმარება ქართლი. მას მეორე სახელიც ჰქონია - ზენა სოფელი.

მირის მეხუთე ასული ვარზმან ერისთავის თანამეცხედრე გახდა. მას ერგო ტერიტორია კოტმანიდან ქცუნდისხევამდე.

მეექვსე ასულზე კი ჯუანშერ ჯანშერიანმა იქორწინა. მას წილად ხვდა ჯუარი, ხერკი, ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი და ტფილისი.

როგორც ხედავთ, მთელი საქართველო განაწილდა არჩილსა და მირის ქალიშვილებს შორის. მაგრამ მეშვიდე ასულს რაღა ერგო? იგი ვის მიათხოვა ბიძამ?

მირ მეფის მეშვიდე ასული გურანდუხტ სწორედ იმ ლეონს გააყოლა ცოლად, რომელიც ბიზანტიის კეისარმა აფხაზეთის ერისთავად დასვა. მართალია, აფხაზეთს დროებით ბიზანტია ფლობს, მაგრამ იგიც „ქვეყანანი ქართლისანში“ შედის და ისევე ექვემდებარება მირის ანდერძს, როგორც საქართველოს სხვა ნაწილები.

იცით, რა უთხრა მეფე არჩილს ლეონ პირველმა აფხაზთა ერისთავმა, როცა გურანდუხტ მირის ასულს ირთავდა? მართალია, კეისარმა მემკვიდრეობით მომცა ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე, მაგრამ „არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენადვე იყოს“. ხოლო „შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა“ (ხაზი ჩემია - ა.ბ.) როგორც ხედავთ, ლეონ პირველი აფხაზთა ერისთავი საქართველოს ნაწილად თვლის ტერიტორიას კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე. თავისთავს კი საქართველოს სამეფო კარის ქვეშევრდომად.

მეფე არჩილს დიდად გახარებია ლეონის სიტყვები და ორივეს საშინელი ფიცი და აღთქმა დაუდვიათ. „არა იყოს მტრობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს (-ემორჩილებოდეს) ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა“. ეს სიტყვები არ გახლავთ удобная дипломатическая форма, როგორც ამას წერს ზურაბ ანჩაბაძე („Из истории средневековой Абхазии“). ისინი ერთგულების დადასტურებაა.

არსებობს რაიმე ცნობა ჯუანშერის საწინააღმდეგოდ დამადასტურებელი იმისა, რომ ქართველი მემატიანე მართალს არ ამბობს? სრულებით არაფერი. ვიმეორებ: სრულებით არაფერი, არც ბიზანტიურ წყაროებში, არც სომხურში, არც სხვაგან სადმე. აფსუა-ხალხს კი მატიანე არა აქვს. მან წერა-კითხვა გუშინ ისწავლა. აფსუაენაზე პირველი თხზულების დამწერი ჩვენი თანამედროვე იყო. აგერ ახლა, 1960 წელს, გარდაიცვალა. ჩვენ კი ათასი წლის წინანდელ ამბებზე ვსაუბრობთ.

ჯუანშერი კიდევ იმიტომ არის სანდო და შეგვიძლია დავუჯეროთ, რომ იგი პირადად მოწმეა და მონაწილე იმ ამბებისა, რასაც გვაუწყებს. იგი მემატიანეც იყო და დიდი სახელმწიფო მოხელეც. ჯუანშერი მეფე მირის მეექვსე ასულის ქმარია და ქვისლი ლეონ პირველისა. რა უფლებით შეიძლება ასეთ კაცს უნდობლობა გამოუცხადოთ?

იმით, რაც ჯუანშერმა დაწერა, სრულიად მკაფიოდ ჩანს შემდეგი:

1. არაბთა შემოსევის შედეგად, ქვეყანაში უმძიმესი ვითარებაა, მაგრამ არც ქართველი ხალხი და არც სამეფო კარი ერთიან ეროვნულ შეგნებას არ კარგავს. პირიქით, კიდევ უფრო მძაფრდება იგი.

2. სამეფო კარი ყველა ღონეს ხმარობს, რაც კი შესაძლებელია, მთელი ქართული ტერიტორია სამეფო კარის ზედამხედველობის ქვეშ იყოს (მირის ქალიშვილებს შორის ტერიტორიის განაწილება).

3. აფხაზთა ერისთავი, რომელიც იმხანად, ბიზანტიის ქვეშევრდომია, ქართული სამეფო კარის პოლიტიკას უწყობს ხელს და მას ემორჩილება.

4. ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე საქართველოს ნაწილია, ისიც „ქვეყანანი ქართლისანში“ შედის. მართალია, დროებით ბიზანტიის მფლობელობაშია, მაგრამ არც ბერძნები უარყოფენ იმას, რომ ეს მიწა-წყალი ქართულია.

ამ შეგნებითა და მიმართულებით მოღვაწეობს ლეონ მეორეც.

თუ ვიცით მისი ვინაობა დედის მხრით (ხაზართა მეფის შვილიშვილია), არ ვიცით მისი წარმომავლობა მამის ხაზით, გარდა იმისა, რომ ლეონ პირველის ძმის ძეა. ლეონის ვინაობაზე არის სხვადასხვა აზრი გამოთქმული, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი უცდომელი და სარწმუნო. მაგრამ ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ ლეონ მეორე დასავლურ ქართულ სახელმწიფოს ააღორძინებს. მემატიანის სიტყვით, როგორც კი ბერძნები დასუსტდნენ, ამით მაშინვე ისარგებლა მან და ბიზანტიის ქვეშევრდომობას თავი დააღწია. დედით ხაზარი არც ხაზართა სამეფოს მიმხრობია. გამოყენებით კი გამ-

გაგრძელება მე-4 გვ.

# რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო მასალა

## უღრუბლო ცაა აფხაზეთში?

პირველი გვერდიდან

ანსურ დახმარებას მოითხოვენ. „თანხმობის ნიმუშად“ შეიძლება მივიჩნიოთ ენგურჰესი, სადაც მომსახურე პერსონალი ძირითადად ქართულია, ხოლო მილიცია და დაცვა აფხაზური. გამომუშავებული ელექტროენერგიის 20-40% აფხაზეთს მიეწოდება, რუსეთს - 10%, 50-70% - საქართველოს, საიდანაც თურქეთში გაედინება. მაგრამ, ჰეს-ის ხანგრძლივი ექსპლუატაცია სერიოზულ სარეგლამენტო და სარემონტო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს. განიხილება საკითხი აპრილ-მაისში სადგურის გამორთვის თაობაზე, რაც სერიოზულად გაართულებს საქმის ვითარებას მთლიანად აფხაზეთში და, კერძოდ, გალის რაიონში (რუსეთის სპეცსამსახურების ეს „წინასწარმეტყველება“ ამ დღეებში არძინბას მთავრობამ სისრულეში მოიყვანა).

ამგვარად, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების ანალიზი ცხადყოფს:

1) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის (გარდა გალის რაიონისა) პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტა უახლოეს წლებში შეუძლებელია, ვინაიდან შეიარაღებული ძალების და სამხედრო ტექნიკის არსებული თანაფარდობა თბილისს არ აძლევს საშუალებას განახორციელოს წარმატებული შეტევითი ოპერაცია. თუ გავითვალისწინებთ ადგილმდებარეობის თავისებურებებს (ფრონტალურად განლაგებული გორები და მდინარეები, დიდი რაოდენობით სხვადასხვა ბუნებრივი წინაღობები), აფხაზებს საშუალება აქვთ წარმატებით დაიცვან თავი. ხოლო უპირატესობა სამხედრო-საზღვაო ძალებში (აფხაზების 20 სხვადასხვა კატარღა და მცურავი საშუალება ქართველების 4 ერთეულის წინააღმდეგ) შესაძლებლობას აძლევს აფხაზებს, ჯარებისა და კომუნიკაციების ოპერატიული განლაგების მთელ სიღრმეზე მოწინააღმდეგეს საგრძნობი ზარალი მიაყენონ.

2) პრობლემის სამხედრო გზით გადაჭრის მცდელობა გამოიწვევს მშვიდობიანი მოსახლეობის დიდ მსხვერპლს, კვლავ დაიწყება აფხაზეთიდან და საქართველოს შავიზღვისპირეთიდან ლტოლვილთა მასობრივი დენადობა რუსეთის სამხრეთ რეგიონებში და ცენტრალურ ქალაქებში (სავარაუდოდ, 100-200 ათასი ადამიანი). ამას გარდა, გარდაუვალ მოჰყვება ჩრდილო-კავკასიის, ლუმპენიზირებული მოსახლეობის, კრასნოდარისა და სტავროპოლის კაზაკობის მიგრაცია აფხაზთა დასახმარებლად, მთიელ ხალხთა კონფედერაციის წყალობით მათი შემდგომი კონსოლიდირება და სეპარატიზმის გაძლიერება.

3) შეიარაღებული კონფლიქტის განახლება გამოიწვევს მსხვერპლს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეებში. აგრეთვე არ არის გამორიცხული კონფლიქტის პროვოცირება, თავად რუსეთის სამშვიდობო ნაწილებს, ერთის მხრივ, ჩრდილოეთის ზონის (ვოლგისპირეთის 27-ე და საჰაეროსადესანტო ჯარების 245-ე ბატალიონები) და მეორეს მხრივ, სამხრეთის ზონის ბათუმის დივიზიის ქვედანაყოფს შორის, რომელიც 60 პროცენტით ქართველებით არის დაკომპლექტებული.

4) სამხედრო სცენარი ხელს აძლევს მხოლოდ თურქეთსა და ნატოს, ვინაიდან კონფლიქტის განახლების შემთხვევაში მსოფლიოსა და რუსეთის საზოგადოებრიობა მოითხოვს რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას და მათ ნაცვლად რეგიონში ნატოს სამხედროების შემოყვანას, სადაც მეტწილად თურქეთის ჯარისკაცები დაიდებენ ბინას.

5) გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის ხელისუფლება მზადაა წავიდეს კომპრომისებზე გალის რაიონში, თუკი დაიწყება მოლაპარაკებები აფხაზეთის ფედერაციულ სტატუსზე, აგრეთვე აღნიშნულ რეგიონში რუსეთის სამხედრო ყოფნის მიზანშეწონილობაზე და მდინარე ფსოუზე ბლოკადის მოხსნის აუცილებლობის გათვალისწინებით, რომელმაც რუსეთს მხოლოდ ეკონომიკური ზარალი მიაყენა, კონფლიქტის მოწესრიგების ერთადერთი სწორი და შესაძლებელი სცენარი უცვლელი რჩება - მოვლენების მშვიდობიანი განვითარება რუსეთის შუამავლობით.

დაყოვნება უკიდურესად ნეგატიურად იმოქმედებს რუსეთის გავლენის ხარისხზე ამ რეგიონში. გავლენაც და სარგებლობაც საბოლოოდ დარჩება თურქეთს.

# ისტორიის მოპარვა

მესამე გვერდიდან

ოიყენა ხაზართა ძალა, დედის ნათესავ-ები. საკუთრივ ქართული სახელმწიფო ჩამოაყალიბა. როგორც ქართულ საისტ-ორიო მეცნიერებაში უთუოდ და უთუმ-ცაოდ დადგენილია, ლეონ მეორის აფხ-აზთა სამეფო, ანუ დასავლეთ საქართვე-ლოს სამეფო, მოიცავდა, დღევანდელი პროვინციების მიხედვით თუ ვიტყვით, საკუთრივ აფხაზეთს, სამურზაყანოს, სამეგრელოს, სვანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, იმ-ერეთს, გურიას, აჭარასა (ზოგიერთი იმასაც კი ფიქრობს, რომ მაშინდელ დასავლეთ საქართველოს სამეფოში ლაზეთიც შედიოდაო, მაგრამ ეს საკამ-ათოა). დედაქალაქი კი ქუთაისი იყო. ეს კი იმას ადასტურებს, რომ ლეონ მე-ორე ენით, ცნობიერებით, შეგნებით, მოღვაწეობით ქართველი იყო. თან თავდადებული და თავგანწირული ქართველი.

არც აფხაზთა მეფის გვირგვინი დაუდგამს მას თვითნებობით. როცა ლეონ პირველს მეფე მირის ასული გურანდუხტი მიათხოვეს, გვირგვინიც გა-დასცეს. „მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმისწული მისი გურანდუხტ და გვირ-გვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისათუის" (იმ ეპოქაში სამეფო ინსიგნიებს ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერატორისაგან იღებდნენ). მაშასადამე, ლეონ მეორემ სამეფო გვირ-გვინი, ანუ მეფე მირის გვირგვინი, დაიდგა, როგორც ქართლის მეფის მემკვიდრემ.

გვირგვინის გადაცემაც იმას ადას-ტურებს, რომ ტერიტორია კლასურ-იდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე ქართულია. მისი მმართველიც პოლი-ტიკურად ქართველია. სხვანაირად, უცხო ქვეყნის მმართველს არჩილი საქართვე-ლოს მეფის გვირგვინს არ გადასცემდა. ის არჩილ მეფე, რომელიც გარდა მე-ფობისა, ქართული ეკლესიის მიერ წმინ-და მოწამედ არის შერაცხული.

დასავლეთ საქართველოს მფლო-ბელიც იმის მერე გახდა, რაც არჩილ მეფის შვილები იოვანე და ჯუანშერი იმ სოფლად განვიდნენ. „მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისა ჯუანშერცა მი-იცვალა". როცა არჩილი მოკვდა, მისი ორი ვაჟიდან ერთი, იოვანე, ეგრისს წავიდა და იქ ხელისუფლობდა, ხოლო მეორე, ჯუანშერ, ქართლ-კახეთში დარჩა და აქ მეფობდა. ასე რომ, არჩილის შვილები მთელ საქართველოს ფლობდ-ნენ, ერთი აღმოსავლეთს, მეორე დასავ-ლეთს. იოვანეს სიკვდილის მერე ერგო დასავლეთ საქართველო ლეონ მეორეს.

ლეონ მეორე ყველა წესისა და კანონის დაცვით იღებს დასავლეთ საქართველოსაც და სამეფო გვირგვინ-საც. იგი მეფე არჩილის დასტურით არის ხოსროიანთა დინასტიის ქართული სამე-ფო კარის კანონიერი მემკვიდრე. არ-ჩილი არ შემცდარა. მისმა გამჭრიახ-ობამ და წინასწარჭვრეტამ (მეფის გვირ-გვინი რომ გადასცა ლეონ პირველს) გაამართლა. ლეონ პირველი და, მით უფრო, ლეონ მეორე ჭკვიანი და გო-ნიერი სახელმწიფო მოღვაწეები აღ-მოჩნდნენ. ლეონ მეორემ მძლავრი დასავ-ლურ ქართული სახელმწიფოც ჩამოაყ-ალიბა და მომავალში საქართველოს სამეფოს ხელახალ გაერთიანებასაც ჩაუ-ყარა საფუძველი. დავითისა და თამა-რის დიდი საქართველო ლეონ მეორის ღვაწლითაც იკვებება.

მერედა, დიდი უსამართლობა, შეურაცხყოფა, თავხედობა არ არის ის, რომ ლეონ მეორის ორდენით საქართველოს მტრებს აჯილდოებენ? რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ამან არ უნდა გაგვაკვირვოს. ვისაც სხვისი მიწა-წყლ-ის მოპარვა სურს, იმას არც ისტორი-ის მოპარვის შერცხვება. რუსეთი კი ერთ რამეს ნუ დაივიწყებს: ბიზანტიასაც სურდა აფხაზეთის მითვისება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. პირიქით: აფხ-აზეთი გახდა საქართველოს ხელახალი აღორძინების მოთავე. არც რუსეთს გამოუვა რაიმე. ისტორიულად რუსე-თი ბიზანტიის მემკვიდრედ თვლიდა თავს და ამაყობდა ამით. ბიზანტიის იმპერია უკვე დიდი ხანია აღარ არსე-ბობს. ხომ არ აჯობებდა რუსეთის ხე-ლისუფლებას ამ საბედისწერო დასას-რულზე ეფიქრა და თავი დაენებებინა სხვისი ტერიტორიის მითვისებისათვის?

# ნოდარ ჯავახიშვილი აკრედიტებს რუსეთის ჯარების ამიერკავკასიის ჯგუფის მეთაურის თანაშემწეს (?!)

პირველი გვერდიდან

ციულ ბანკ „ნარიყალას" საკორესპო-დენტო ანგარიშზე. ვკარიტოემა ეს პირობა დათქმულ დროს ვერ შეას-რულა და ამის გამო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მას ვადა გაუგრ-ძელა 1996 წლის 27 თებერვლამდე. გაცემული თანხიდან 73448 ლარი ირიცხება ვადაგადაცილებაზე. ამა-სობაში პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების მიზნით სებ-მა ბანკ „ნარიყალას" ჩამოართვა საბანკო ოპ-ერაციების წარმოების ლიცენზია. ამ-ჟამად სამართალდამცავი ორგანოები სწავლობენ ამ ბანკისა და ეროვნუ-ლი ბანკის ურთიერთობის მართლ-ზომიერების საკითხს, მაგრამ აქ ჩვე-ნის აზრით მთავარი მაინც იმის აღნიშვნაა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკ „ნარიყ-ალასთან" მიმართებაში თეითონ დაარ-ღვია „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონის შესახებ" 33-ე, 62-ე, 74-ე და სხვა მუხლები, აგრეთვე საქეროვნული ბანკის გამ-გეობის მიერ 1995 წლის 27 იანვრის №10 დადგენილებით დამტკიცებუ-ლი წესი „საქართველოს რესპუბლიკა-ში კომერციული ბანკების საქმიანო-ბის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების შესახებ", საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობის 1995 წლის 22 მაისის №23 დადგენილებით დამტკიცებული ბანკთაშორისო აუქ-ციონის დებულება.

ასე იფანტება მავანთა ხელით საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან აღებული კრედ-იტები, რომელიც საქართველოს, მის აღმშენებლობას უნდა ხმარდებოდეს და არა რუსეთის ჯარისათვის „უზრუნველი ყოფისათვის" საჭირო პირობების შექმნას საქართველოში. ისე კი, არ შეიძლება არ აღინიშნოს რუსის ჯარის „კეთილსინდისიერება" – იმ მამაცხონებულ კარიტოვს ხომ შეიძლება 185 ათასი ლარის ნაცვ-ლად 10 ან 20 მილიონი მოეთხოვა, არ მისცემდნენ თუ რა? აქ, ეტყობა, თავი იჩინა რუსის ჯარის ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, შერყეულმა რეპუტაციამ და საკუთარი ავტორი-ტეტისადმი ურწმუნობამ, ქვეყანა კი ღმერთმა დაიფარა უფრო დიდი ზარალისაგან.

გ.ღვინიაშვილი

### ეროვნული ბანკიდან გვაცნობეს

რედაქციისაგან: ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გარშემო ამ დღეებში პარლამენტში თუ პრესა-ში ატეხილია დიდი აყიოტაჟი, რა-მაც დაინტერესებული წრეები ორ ბანაკად გაჰყო, – ბანკის პრეზი-დენტის მომხრეებად და მოწინააღმ-დეგებად. როცა საქმე საკადრო საკითხებს ეხება, ხშირად წინა პლანზე კლანური ინტერესები გამო-დის, რედაქციამ რომელიმე მხარის ინტერესზე რომ არ დაასხას წყა-ლი, მისდაუნებურად, ჭეშმარიტებ-ის საწინააღმდეგოდ, ამიტომ გა-დავწყვიტეთ ზემოთწარმოდგენილ საკმაოდ მწვავე წერილზე წინასწარ მოგვეთხოვა პასუხი ეროვნული ბანკიდან.

წერილში მოყვანილ ფაქტებთ-ან დაკავშირებით ჩვენს კორესპონ-დენტს ეროვნულ ბანკში აცნობეს შემდეგი:

1995 წლის ოქტომბერში კო-მერციულ ბანკ „ნარიყალაზე" მარ-თლაც გაიცა სესხი 185000 ლარის ოდენობით 10 დღის ვადით, წლი-ური 43 პროცენტი სარგებლით. სესხის გაცემა მოხდა საქართვე-ლოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონის 62-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გასცეს სესხი კომერციულ ბანკზე უგარან-ტიოდ განსაკუთრებული მდგომარ-ეობის გამო.

როგორც ცნობილია, კრედიტის გაცემამდე სულ რამდენიმე კვირ-ით ადრე საქართველოში შემოღე-ბული იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი, რომელიც მალე ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გა-დაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოქმედი რუსეთის სამხედრო-საველე ბანკი საგანგე-ბოდ იქნა გაფრთხილებული, რუსე-თის ჯარების ამიერკავკასიის და-ჯგუფების სარდლობამ დროულად არ მიიღო ზომები კომუნალური მომ-სახურების, საწვავისა და ხელფასე-ბის დასაფარად შესაბამისი ოდე-ნობის რუბლების ლარზე გადაცვ-ლისათვის. არადა ლარი, რუსი სამხედროების გასაკვირად, მარ-თლაც გადაიქცა გადახდის ერთა-დერთ კანონიერ საშუალებად. რუსეთის სამხედრო-საველე ბანკი კი პარალიზებული აღმოჩნდა, რად-განაც, მიუხედავად ქართული მხ-არის არაერთგზის მოთხოვნისა, მან არ გახსნა საკორესპონდენტო ან-გარიში საქართველოს ეროვნულ ბანკში. ამიტომ რუსმა სამხედროებ-მა მიმართეს კომერციულ ბანკ „ნარიყალას". თუ რატომ მაინცა და მაინც მას, ეროვნული ბანკისათვის ეს უცნობია.

ეროვნულმა ბანკმა გაითვალ-ისწინა რა რუსეთის სამხედრო კონ-ტინგენტის მომსახურე საქართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების ინტერესები, აგრეთვე რუს სამხედრო მოსამსახურეთათვის სამ-სახურეობრივი სარგოს ახლად შემოღებულ ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურების მორალური და იუ-რიდიული მნიშვნელობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დააკ-მაყოფილა ბანკ „ნარიყალას" თხოვ-ნა კრედიტის გამოყოფის თაობაზე. ამ უკანასკნელმა კი მიღებული თანხები არამიზნობრივად გამოიყე-ნა და სესხი სრულად ვერ დააბრუნა ეროვნულ ბანკს. მხოლოდ 111552 ლარი დაუბრუნდა, რაც სესხის საერთო მოცულობის 64 პროცენტს შეადგენს. ამჟამად ბანკ „ნარიყალას" საქმიანობაში გამოვლენილ უხეშ დარღვევებს (და არა მის ურთიერ-თობებს ეროვნულ ბანკთან, როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს) სწავ-ლობენ სამართალდამცავი ორგანოე-ბი.

ამ ფაქტების შესახებ საზოგა-დოება საკმაოდ კარგად არის ინ-ფორმირებული, რადგანაც მათ ირ-გვლივ არა ერთხელ ითქვა ეროვნუ-ლი ბანკის 1995 წლის ფინანსური ანგარიშის თაობაზე პარლამენტში გამართული საკომიტეტო მოსმენების დროს, ხოლო ინფორმაცია არაერთხ-ელ გამოქვეყნდა პრესაში. ის, რომ პარლამენტმა აღნიშნული ანგარი-ში დაამტკიცა, ესეც საყოველთაოდ ცნობილია. რაც შეეხება წერილის ავტორის დასკვნებს ეროვნული ბანკის მიერ მოქმედი კანონმდე-ბლობისა და საკუთარი შიდაუწყე-ბრივი ნორმატიული აქტების დარ-ღვევის შესახებ, არც ეს შეესა-ბამება სინამდვილეს, რასაც ადას-ტურებს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ამ ფაქტების შემოწ-მების აქტი.

### აფხაზეთი „ენგურჰესი"-ს ჩართვის სანაცვლოდ სატელეფონო კავშირის აღდგენას მოითხოვს

როგორც სააგენტოს კორე-სპონდენტისათვის სათბობ-ენერ-გეტიკის სამინისტროს პრეს-ცენტრიდან გახდა ცნობილი, 500 კილოვოლტიანი ელექტროგადა-მცემი ხაზის – „იმერეთი" „ენ-გურჰესიდან" გამორთვასთან დაკავშირებით, აფხაზეთის მხ-არესთან ამჟამად არანაირი მოლაპარაკებები არ მიმდინარ-ეობს. იმავე წყაროს ინფორმაცი-ით, აფხაზეთის მხარემ განაცხ-ადა, რომ ვიდრე საქართველო არ აღადგენს აფხაზეთსა და რუსეთს შორის პირდაპირ სატელეფონო კავშირს, ისინი „ენ-გურჰესს" არ ჩართავენ. რაც შე-ეხება „ენგურჰესზე" სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, იგი გაურკვეველი დროით გადაიდო. (იფრინდა)

### გ.ჩხიკვაძეს ქურდობაში ედება ბრალი

შსს-ს პრეს-ცენტრი აცხ-ადებს, რომ მასობრივი ინფორ-მაციის საშუალებებით გავრ-ცელებული ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა ილია მართლის საზოგადოების მიერ გამართულ პრეს-კონფერენ-ციაზე გამოთქმულ პრეტენზიას – პოლიციის მიერ ამავე სა-ზოგადოების გამგეობის წევრის გია ჩხიკვაძის პოლიტიკური მო-ტივით დაკავების თაობაზე – ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

პრეს-ცენტრის ცნობით, ძებნილი გ.ჩხიკვაძე დააკავეს, როგორც კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმი-ტანილი. კერძოდ, მას ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მესამე ნაწილით – მო-ქალაქეთა პირადი ქონების ქურ-დობა ბინაში შეღწევით. გ.ჩხიკვაძე, რუსთავის შს სამ-მართველოს მიერ ხარაგაულის პოლიციის განყოფილებაშია ეტაპირებული. (იფრინდა)

# რომან გოცირიძე: დეპუტატთა ერთი ნაწილი დაქირავებული მქადაგებლის როლშია...

პირველი გვერდიდან

– სავსებით სწორი იყო, რომ კანონპროექტი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ პარ-ლამენტზე ვერ გავიდა. ამჟამად საქართველოში შექმნილი პოლი-ტიკური და ეკონომიკური ვითარება არ იძლევა იმის ფუფუნებას, რომ ამგვარი ექსპერიმენტები ვატაროთ. ამ კანონის მიღებას, ერთის მხრივ, მო-ჰყვებოდა ცალკეული რეგიონების მოთხოვნა „ზონად" გამოცხადების შესახებ (რაზეც დასაბუთებული უარი მაინცდამაინც დიდ პრობლემებს ვერ შექმნიდა, თუმცა, გარკვეული სირთუ-ლეები შეიძლება გამოეწვია). თუმცა, ეს არ არის მთავარი. საქართველოში „ზონის" პრინციპით ორგანიზებული ტერიტორიის გაჩენა შექმნიდა ისეთი მრავალი სახის სირთულეებს, რომ-ლის დაძლევა ჩამოყალიბების სტა-დიაზე მყოფი ქვეყნისათვის იქნებო-და ძალზე რთული.

მაშინ, როდესაც საქართველოს გადასაჭრელი აქვს ურთულესი მნიშ-ვნელობის პრობლემა – ქვეყნის ტერ-იტორიული მთლიანობის აღდგენა, აგრეთვე მიმდინარეობს სახელმწიფოს შექმნა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშ-ვნელობით – სამხედრო, ფულად-საკრედიტო, ინსტიტუციონალური, ტერიტორიული მმართველობითი და ა.შ, როდესაც საერთაშორისო ორგა-ნიზაციებისა და უცხოეთის სახელმ-წიფოთა ფინანსური და კონსულტ-აციური ხასიათის დახმარებების წყ-ალობით ძლივძლიობით ავიდგით ფეხი და ახლა ვსწავლობთ ნორმალუ-რად სიარულს, ასეთ ჩვილ სხეულში თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩან-ერგვა გამოიწვევდა დაწყებული ევოლუციური პროცესების რადიკალურად შეცვლას. ამ ცვ-ლილებას მრავალ პრობლემას შე-ჭიდებული ქვეყანა ვერ გადახარშავს. ამიტომ არ უნდა გვეშინოდეს იმის აღიარება, რომ სახელმწიფოებრივი განვითარების დღევანდელ ეტაპზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა პოლიტიკურად დაუშვებელია. სხვა საკითხია, მისი სხვადასხვა გამ-არტივებულ ნაირსახეობათა შექმნა (მაგ. საზღვრისპირა ვაჭრობის ლიბ-ერალური რეჟიმის დაწესება), რომელ-იც ერთჯერად გადაწყვეტილებას საჭიროებს და არა სპეციალური კანო-ნის მიღებას.

რაც შეეხება საკითხის ეკონომიკურ მხარეს, ქვეყანაში თავის-უფალი ეკონომიკური ზონის შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესებას და ზო-ნის ტერიტორიაზე ექსპორტზე ორი-ენტირებული კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას. ზოგადად, რა სჯობია, თუკი ქვეყანაში შეიქმნება ისეთი სტიმულის მიმცემი გარემოე-ბათა ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. მა-გრამ ძირითადი, მაინც არის ის, თუ კონკრეტულ ვითარებაში რა პრიორ-იტეტები გააჩნია ქვეყანას, რა არის ძირითადი, მთავარი და რა ნაკლე-ბადპრიორიტეტული. საქართველოში დღეისათვის ძირითადი ეკონომიკური ხასიათის ამოცანებია დამოუკიდებე-ლი ეროვნული მეურნეობის შექმნა, რომელიც სხვა მრავალ საკითხთან ერთად შეიცავს მყარი საფინანსო და



საბანკო სისტემის ჩამოყალიბების, საზღვრების ეკონომიკური დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობას. ბოლო პერიოდის მნიშვნელოვან მიღ-წევად მიმაჩნია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების საფუძველზე საბიუჯეტო, საგადასახადო და ფუ-ლად-საკრედიტო სფეროში ნაწილო-ბრივი წესრიგის დამყარება და ის პირველი ნაბიჯები, რომელიც გადა-იდგა ამ დარგში დამოუკიდებელი მექანიზმების ჩამოყალიბების სახით. ის, ვინც თვალყურს ადევნებს რუსეთ-ში საფინანსო სფეროში წარმოქმნილ სიძნელეებს, კარგად დაინახავს, თუ როგორ უთხრის ძირს ამ სისტემას ის უამრავი შეღავათი, რომელიც ამ ქვეყანაში სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურას, საქველმოქმედო

გაგრძელება მე-6 გვ.

## ანონსი

გაზეთ „საქართველოს“ მომდევნო ნომრიდან წერილით „ორი პროფესორი სამსჯავროს წინაშე“ ვიწყებთ ძალიან, ძალიან საინტერესო დისკუსიას მთელი ერისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხზე.

## „პრეზიდენტმა უკვე იცის, თუ ვინ მოაწყო 29 აგვისტოს ტერაქტი“

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეს-სამსახურის ცნობით, პარტიის პოლიტიკურ საბჭოსთან არსებულმა საგანგებო საგამოძიებო ჯგუფმა დაასრულა მუშაობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის ორგანიზატორთა გამოსავლენად. აღნიშნული ჯგუფის დასკვნით, იგორ გიორგაძეს და ჯაბა იოსელიანს არავითარი შეხება ტერაქტთან არ ჰქონიათ. „მათ სხვა ცოდვაზე უნდა აგონ პასუხი. თუ ვინ მოაწყო 29 აგვისტოს ტერაქტი, ამის შესახებ პრეზიდენტმა უკვე იცის“, – ნათქვამია პრესცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (იფრინდა)

## „დიდი მნიშვნელობა აქვს კოდორის ხეობაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას“

აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს პრეს-ცენტრის ცნობით, დღეს გაიმართა გულრიფშის რ-ნის, კოდორის ხეობის სამთავრობო კომისიის შტაბის გაფართოებული სხდომა, რომელსაც აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ.ერქვანია უძღვებოდა. განიხილეს კოდორის ხეობის კრიმინოგენული სიტუაცია, 1996 წელს დაწყებული აღდგენითი სამშენებლო სამუშაოების დამთავრების, ჭუბერ-საკენის გზის მონაკვეთის შიდა გზების და ხიდების, ზამთრისათვის მოსახლეობის სურსათით, საწვავითა და პირველადი დახმარების საგნებით მომარაგების და სხვა საკითხები. ზ.ერქვანიას თქმით, ბოლო დროს კოდორის ხეობა სხვადასხვა ძალების ავანტიურული მოსაზრებების განხორციელების არეალია და დიდი მნიშვნელობა აქვს ხეობაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას. (იფრინდა)

# ასე გინდათ შექმნათ მილიონი სამუშაო ადგილი?!

გახსოვთ, ალბათ, საპრეზიდენტო არჩევნებისდროინდელი ლოზუნგი: მილიონი სამუშაო ადგილის მმართველი პარტია, მოქალაქეთა კავშირი და მათი პრეზიდენტი (უკაცრავად, ჩვენი პრეზიდენტიც) მილიონ სამუშაო ადგილს გვპირდებოდა ჩვენ, უბრალო მოკვდავთ და ჩვენც, დანაპირებით აღფრთოვანებულნი, ისე ავცმუკდით, რომ ადგილს ვეღარ ვპოულობდით.

შეგვისრულეს დანაპირები ხელისუფლებმა. ოღონდ ეგ არის, პირიქით გააკეთეს: ვინც კი საკუთარი თავი დაასაქმა, იმათაც მოხვიეს ხელი და პირიდან ლუკმა-პური გამოაცალეს. ჯერ იყო და ჯიხურებს დაერივნენ, პირისაგან მიწისა აღგავეს ყველა ჯიხური, მერე კი, ასეთი „დიდი გამარჯვებით“ ძალმოცემულნი, კერძო მიკროავტობუსების მძღოლებზე გადავიდნენ. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, იმ მიკროავტობუსებს შეუტიეს, კახეთის მარშრუტით რომ ასრულებენ რეისებს ნავთლუღის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან. ჯერ იყო და, ერთი ადგილიდან მეორეზე „გადარეკეს“ ეს მიკროავტობუსები, შემდეგ აუხირდნენ, თქვენი ლიცენზიები არ გაძლევთ მგზავრთა უგრაფიკოდ გადაყვანის უფლებასო და ბოლოს, სულაც წაართვეს ეს ლიცენზიები. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩინოვნიკები ყველანაირად ცდილობენ, საერთოდ მოაშორონ ეს მანქანები ნავთლუღის ვაგზლის ტერიტორიიდან, მაგრამ მძღოლები კახური სიდინჯითა და გულმაგრობით, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულნი, მტკიცედ დგანან საკუთარ ადგილებზე. თუმცა, როდემდის?!.

ყველაფერი კი, როგორც მძღოლები ამბობენ, დედოფლისწყაროს ავტოსაწარმოს დირექტორის, ყოფილი კომუნისტ-ფუნქციონერისა და წარსულში უფრო მსხვილი პარტიული ფუნქციონერი ქალბატონის ახლო ნათესავის, ვინმე კვაჭაძის წამოწყება გახლავთ, რომელსაც, როგორც სჩანს, არცთუ უანგაროდ მხარს უჭერენ ტრანსპორტის დეპარტამენტის მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი ჩაფიჩაძე, ქალაქის ავტოინსპექცია და ა.შ.

როგორც ბ-ნი ჩაფიჩაძის საავტომობილო ტრანსპორტის თბილისის ზონის რეგიონალური სამმართველოსადმი მიწერილი წერილიდან ირკვევა, თურმე კერძო სამარშრუტო მიკროავტობუსები კონკურენციას უწევენ დიდ სარეისო ავტობუსებს, რომელთა მძღოლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენო. ჩაფიჩაძეს, ეტყობა, ჯერ არ სმენია საბაზრო ეკონომიკის კანონებისა, რომელიც ძირითადად სწორედ კონკურენციას ეყრდნობა და თუ სმენია, მაშინ აქ უკვე სხვა რაღაცასთან, ანუ პირად დაინტერესებასთან გვაქვს საქმე. ეტყობა, ზემოთ ნახსენები კვაჭაძეც სარეისო ავტობუსებისთვის იკლავს თავს და ავტოინსპექციაც ამათი ხათრით ირჯება.

აბა, ასე რომ არ იყოს, რაღა ამ მიკროავტობუსებს მოსდევს შარი, რომლებიც მგზავრებს კეთილსინდისიერად, მათთვის სასურველი გრაფიკით და რაც მთავარია, გამართული, კომფორტული მანქანებით ემსახურებიან. მეტიც, გურჯაანელ, დედოფლისწყაროელ, თელაველ თუ საგარეჯოელ გლეხს მათი წყალობით თბილისის ბაზარში წამოსაღები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის თრევა რაიონების ავტოსადგურში არ უწევს. წინადღით გაფრთხილებული მძღოლი კარდაკარ ჩამოუვლის თითოეულ მათგანს და პირდაპირ საკუთარი ჭიშკრიდან ნავთლუღის ბაზრამდე მიიყვანს გლეხსაც და სხვა მგზავრსაც. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ეს მანქანები ნავთლუღის ვაგზლის ფასიან ავტოსადგომზე დგანან, ყოველდღიურ ფულსაც იხდიან და ავსებენ როგორც რკინიგზის, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტსაც.

მათი ასეთი მუშაობა ხელს აძლევს მგზავრებს, მაგრამ არ მოსწონთ ხსენებულ ჩინოვნიკებს, რომლებიც თავიანთი უსულგულო დამოკიდებულებით ადამიანების მიმართ საკმაოდ დაძაბულ სოციალურ სიტუაციას ქმნიან, უპირისპირებენ მოსახლეობას ხელისუფლებას და იმას ცდილობენ, როგორმე გაურთულონ კაცს ისედაც მძიმე და დუხჭირი ცხოვრება.

რიგითმა ადამიანმა, ასე ვთქვათ, „უპატრონომ“ რა უნდა გააწყოს ამდენი ბიუროკრატ-ჩინოვნიკების ხელში, როცა თვით ნიკო ლეკიშვილსაც, საკმაოზე მეტად ცნობილ პარტიულ ფუნქციონერს თავის დროზე, საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის პერიოდში (1991-92 წ.წ.) თვითონვე უგემნია ბიუროკრატიულ აპარატებში სხვადასხვა ბარიერების გადალახვის მწარე მაგალითი და ყველა სათანადო დოკუმენტაცია რომ შეეგროვებინა, თითქმის წელიწადი უწვალებიათ. ამიტომ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ უშიშროების სამინისტროში გამართულ კორუფციის წინააღმდეგ მიძღვნილ თათბირზე ლეკიშვილმა განსაკუთრებული აქცენტი სალიცენზიო სისტემის გამარტივებაზე გააკეთა.

ამ პატარა წერილში მოყვანილი ფაქტი მხოლოდ ერთი მაგალითი გახლავთ იმისა, თუ როგორ ექცევიან ჩვენში მადაგამგელებული ჩინოვნიკები ადამიანებს. დამეთანხმებით, ასეთი მაგალითები ჩვენს ირგვლივ უამრავია და ამიტომაც, ყველამ უნდა ამოვიღოთ ხმა, მივმართოთ იმ ორგანიზაციებს, რომელთაც ადამიანის შრომის უფლებათა დაცვა ევალებათ, ამ შემთხვევაში კი, კერძო საკუთრების დაცვის ლიგას, რომელსაც ყოფილი ვიცე-პრემიერი, ბ-ნი რომან გოცირიძე ხელმძღვანელობს.

მე კი, წერილის ბოლოს, როგორც რიგითმა მოქალაქემ მინდა მივმართო ქვეყნის პრეზიდენტს: კორუფციასთან ბრძოლა თუ მართლა გსურთ და თუ ეს მხოლოდ ხალხისთვის გადაგდებული ლოზუნგი არ გახლავთ, მაშინ ეს ბრძოლა ზევიდან, თქვენი გარემოცვიდან უნდა დაიწყოთ და ჩახვიდეთ ბოლომდე, რიგით ჩინოვნიკამდე. ჩემის აზრით, საქმეს მხოლოდ ასე ეშველება.

**სერგო ჯანაშია**



# „აღმასრულებელი ხელისუფლება დროს იგებს“

გუშინ, პარლამენტის სახალხო ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატი“-ს თავმჯდომარის მოადგილემ ვ.ხუხუნაიშვილმა, რომელიც ამავე დროს პარლამენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებასთან დაკავშირებით პრეს-კონფერენცია გამართა.

ვ.ხუხუნაიშვილის ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მან ღია წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს. მისი თქმით, მიუხედავად არაერთი შეთანხმებისა ამ საკითხთან დაკავშირებით, მისი გადაწყვეტის საქმეში არანაირი წინსვლა არ შეიმჩნევა. მისივე თქმით, აღნიშნული საკითხის განხილვა პარლამენტს 17 თებერვლიდან უნდა დაეწყო, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების ფაქტიური საბოტაჟის გამო, განხილვა განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი საჭირო კონდიციამდე არ მისულა და უკან დაბრუნდა, რითაც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დრო კიდევ ერთხელ მოიგო. ვ.ხუხუნაიშვილის თქმით, ხელისუფლებას ძალიან დიდი ინერცია აქვს ტოტალიტარული მმართველობისა და ამიტომაც მათ არ სურთ ცენტრალიზებული მმართველობის მარწუხების ხელიდან გაშვება. უფრო მეტიც, სულ უფრო და უფრო მკაცრდება მმართველობის პრინციპები, რისი ნათელი მაგალითიც მხარეთა რწმუნებულების ინსტიტუტია. მისი აზრით, კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ გამოცხადებული კამპანია მხოლოდ და მხოლოდ სიტყვებად დარჩება, თუ მხარეთა რწმუნებულებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს ცენტრი დანიშნავს. მისივე თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკითხის გაჭიანურებით, ირღვევა საქართველოს კონსტიტუცია, სახელმწიფო რეალურად ეწინააღმდეგება ევროპული ინტეგრაციისაკენ მხოლოდ სიტყვიერად გამოცხადებულ კურსს, მოსახლეობას არა აქვს პრობლემების უშუალოდ გადაწყვეტის მექანიზმი, ცენტრალიზებული მმართველობა - დანიშნული გამგებლები და რწმუნებულები, ნაყოფიერ ფონს ქმნიან კორუფციისათვის და ხდება გარკვეული ფუნქციების დუბლირება, ფერხდება პოლიტიკური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და სრულყოფა, იზრდება დასავლელ პარტნიორთა სკეპტიციზმი ქართული დემოკრატიის მიმართ. (იფრინდა)

## „მოლაპარაკებათა პროცესის გაგრძელება საქართველოსთან შეუძლებელია“

საგენტოს კორესპონდენტი სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რომ აფხაზთა ლიდერმა ვ.არძინბამ განაცხადა: „რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადის ვითარებაში, ასევე აფხაზეთსა და რუსეთს შორის საერთაშორისო სატელეფონო კავშირის გამორთვის შემდეგ, საქართველოსთან მოლაპარაკებათა პროცესის გაგრძელება შეუძლებელია“. მისივე თქმით: „ჩვენ გვაიძულებენ, ძალით შეგვყარონ საქართველოში. სატელეფონო კავშირის გაწყვეტა – ეს პოლიტიკური და არა ტექნიკური გადაწყვეტილებაა“. ვ.არძინბამ ასევე განაცხადა, რომ აფხაზეთის უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება – აფხაზეთში დისლოცირებული რუსი მესაზღვრეებისათვის და დსთ–ს კოლექტიური სამშვიდობო ძალებისათვის საერთაშორისო სატელეფონო კავშირის არხების გამორთვის შესახებ. „ბლოკადა ყველასთვის ბლოკადა უნდა იყოს“, – განაცხადა მან. აფხაზეთის ხელისუფლების ლიდერმა არ გამორიცხა აფხაზეთის პარლამენტის მიერ ადექვატური ზომების მიღების შესაძლებლობა. (იფრინდა)

## მიმდინარეობს გეგმიური როტაცია

„ვითარება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კვლავაც სტაბილურია“, – ამის შესახებ საგენტოს კორესპონდენტს დსთ–ს სამშვიდობო ძალების სარდლობიდან ინფორმირებულმა წყაროებმა აცნობეს. მათი თქმით: „მიუხედავად აფხაზეთის რუსეთთან საერთაშორისო სატელეფონო კავშირის გაწყვეტისა, რასაც შედეგად აფხაზეთის ხელისუფლების მხრიდან საქართველოსათვის „ენგურჰესი“–ს ერთ–ერთი ხაზიდან ელექტროენერგიის მოუწოდებლობა მოჰყვა, მდგომარეობა სამშვიდობო ძალების ირგვლივ წყნარია“. ამჟამად, დსთ–ს კოლექტიურ სამშვიდობო ძალებში მიმდინარეობს რუსეთის სამშვიდობო ძალების გეგმიური როტაცია. აფხაზეთში უკვე ჩავიდა პრივოლჟსკის სამხედრო ოლქის 27–ე დივიზიის ორი ბატალიონი, რომელიც კონფლიქტის ზონაში 9 თვის განმავლობაში მყოფ ქვედანაყოფებს შეცვლის. (იფრინდა)

# რომან გოცირიძე: დეპუტატთა ერთი ნაწილი დაქირავებული მქადაგებლის როლშია...

მეოთხე გვერდიდან

დაწესებულებასა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გააჩნია. მათ უკან დგანან უზარმაზარი გავლენიანი ძალები. რუსეთმა იმ დონეს რომ მიაღწიოს საგადასახადო სფეროში შეღავათების გაუქმების მხრივ ამჟამად ჩვენ რომ გაგვაჩნია, უკეთეს შემთხვევაში, 3–4 წელიწადი მაინც დაჭირდებათ. ჩვენ ამ მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით. ყველას კარგად გვესმის, რა მორალური ხასიათის სიძნელეებთან იყო დაკავშირებული საგადასახადო შეღავათების გაუქმება საქართველოს საპატრიარქოსთვის, მაგრამ ეს უკვე მოხდა. ასეთი შეღავათები არასდროს არ იძლევა შედეგს და ხშირ შემთხვევაში უარყოფითი შედეგი მოაქვს. სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროს პირდაპირი დაფინანსება სჭირდება და არა საგადასახადო რეჟიმის შერბილება. ეს ერთი კონკრეტული მაგალითია, რომელიც, ერთი შეხედვით, არ უნდა იყოს კავშირში თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხთან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. „ზონის“ ძირითადი პრინციპია შეღავათები, პირველ რიგში საგადასახადო. ასეთი შეღავათები, თავი რომ დავანებოთ წმინდა სუბიექტურ, ამჟამად გაბატონებულ კორუფციის მექანიზმებს, ძალზე საშიშია ეროვნული ვალუტის სიმყარის შენარჩუნებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობის დარღვევის მხრივ. საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, სადაც იკრიბება ერთობლივი შიდა პროდუქციის მხოლოდ 6 პროცენტი. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ შიდა პროდუქტის ერთ მესამედზე მეტი დამალულია (იგულისხმება ჩრდილოვანი სექტორი), ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირე ხდება. ეს არ არის უბრალო ფაქტი. ეს ნიშნავს ქვეყნის უსუსურობას, თავი მოუყაროს რესურსებს, მოახდინოს მისი იმგვარი გადანაწილება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერის ზრდას, მოქალაქეთა სოციალური პირობის გაუმჯობესებას. ამიტომ დღეს ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია მყარი საკრედიტო და ძლიერი საბიუჯეტო ვითარება, ვიდრე შეღავათიანი რეჟიმის მქონე ადმინისტრაციულად ნაკლებადმართვადი ტერიტორიის აღმოცენება ბუნებრივია, ასეთი ტერიტორიები იძლევიან მომავალში ეკონომიკის გამოცოცხლების შესაძლებლობას, მაგრამ ყველაფერი გასათვლელია დროში. დრო კი ჩვენ ძალზე ცოტა გვაქვს იმ გადაუდებელი პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც ქვეყანას თავს ახვევია.

რაც შეეხება პარლამენტში ამ საკითხებთან დაკავშირებულ ვნებათაღელვას, ეს მაჩვენებელია საქართველოს დეპუტატთა ნაწილის პოლიტიკური მოუმწიფებლობისა, ზოგიერთ შემთხვევაში კი, პროფესიონალიზმის ნაკლებობისა. ამ საკითხის ირგვლივ წამოჭრილმა დავამ ისიც დაგვანახა, რომ დეპუტატთა ერთი ნაწილის მიზანი პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაა, რის გამოც დაქირავებული მქადაგებლების როლში მოგვევლინებიან ხოლმე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დეპუტატთა დიდსეული ნაწილი სხვა შემთხვევაშიც ისევე სახელმწიფოებრივი მასშტაბით მიუდგება გადასაჭრელ საკითხს, როგორც ეს აღნიშნული პრობლემის განხილვისას მოხდა

# აფხაზები თავიანთ ერთადერთ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ!

მოხსენებითი ბარათი

მის ბრწყინვალებას, გენერალ–ადიუტანტს, თავად სვიატოპოლკ–მირსკის,

წოდებრივ და საადგილმამულო საქმეთა ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარეს!

აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავად–აზნაურობისაგან

1870 წლის 23 მარტი

II. მემამულეთა მიერ ხე-ტყის გაყიდვის მაგალითები:

ა) 1850 თუ 1851 წელს გენერალ-მაიორმა კაცო მარგანიმ ბზის ტყე მიჰყიდა მოსაჭრელად სოხუმელ ვაჭარს სიმონ პერსოპულოს;

ბ) თავადებმა ინალ იფებმა ასევე ბზის ტყე მიჰყიდეს მოსაჭრელად თურქ აჯას იზმაილს, რომელიც ამჟამად გუდაუთაში ცხოვრობს, და სოხუმში მცხოვრებ ბერძენს ბენდელ ჩურბაჯის;

გ) აზნაურმა ქეაჯა მარგანიმ მუხის ხე-ტყე მიჰყიდა ამერიკელებს ტრავერზებისათვის;

დ) თავადმა ბოლხუხუ ემუხვარმა (თავად ბათა ემუხვარის მამამ) ბზის ხე-ტყე მიჰყიდა რედუტკალელ ვაჭარს ავგერინოს;

ე) ოჩამჩირელი თურქი ჰაჯი ჰუსეინი ცაცხვის ტყეს ყიდულობდა მოსაჭრელად მდინარე ბზიფის მარჯვენა სანაპიროზე თავად ინალ-იფასაგან (ჰაჯი ჰუსეინი ამჟამად სოხუმში ცხოვრობს).

გლეხები აფხაზეთში მანამდე არასდროს არ ყოფილან თავისუფალნი მხოლოდ უშუალო რუსული მმართველობის შემოღების დროიდან გლეხებმა (აფხაზურად – „ანხაე“) თავის გამოსყიდვა იწყეს მიწიანურთ ან უმიწოდ, რათა გათავისუფლებულიყვნენ. ასე მაგალითად, მხოლოდ სამურზაყანოში უკანასკნელ წლებში ათასამდე გლეხის კომლმა გამოისყიდა თავი. მრავალმა ყმა-გლეხმა გამოისყიდა თავი აფხაზეთის სხვა ნაწილებშიც. მათი და ზოგიერთი სხვა ყმა-გლეხის გამოკლებით, რომელნიც თვით მემამულეებს გაუთავისუფლებიათ საკუთარი ნებით, ყველა სხვა გლეხი მემამულეების კუთვნილებაა. ყმა-გლეხი მთლიანად ეკუთვნის მემამულეს, რომელსაც უფლება ჰქონდა გაეყიდა იგი მიწით თუ უმიწოდ აყრით, ანდა საჩუქრად ებოძებინა ვინმესთვის. ყმა-გლეხის მოკვლის შემთხვევაში სისხლისთვის საზღაურის ნახევარი მემამულეს ეძლეოდა, ხოლო მოკლულის ნათესავები მხოლოდ მეორე ნახევარს იღებდნენ; ყმა-გლეხის ასულს გათხოვებისას გასვლის საზღაური უნდა გადაეხადა მემამულისათვის (აფხაზურად – „ახშზირ“, ქართულად – „ქალამანი“); მართალია, საკარმიდამო, საბალე-სავენახე და სახნავ-სათესი მიწებით ყმა-გლეხი საშვილიშვილოდ სარგებლობდა, მაგრამ ეს მიწა ყოველთვის მფლობელი მემამულის კუთვნილებად რჩებოდა. ამ შემთხვევაში გლეხს მხოლოდ მიწაზე გაწეული შრომა ეკუთვნოდა – ხეხილი, ვენახი, საკარმიდამო ნაგებობანი და დამუშავებული მიწისაგან მიღებული მოსავალი. ყმა-გლეხის მემკვიდრე მხოლოდ მისი ძე ანდა ღვიძლი ძმა შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს უკანასკნელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არ იყო გამოყოფილი ოჯახიდან და ცალკე გასული. ხოლო თუკი გარდაცვლილ ყმა-გლეხს არ ჰყავდა ძე, მაშინ მთელი მისი ქონება-სამკვიდრებელი შერჩევითი (ქვეხის სამართლის) უფლებით მემამულეს რჩებოდა, გარდაცვლილის ასულნი კი მემამულის სამსახურში დგებოდნენ მოახლეებად, რომელიც მათ ათხოვებდა.

ა, მაგალითებიც იმისა, თუ როგორ ჰყიდდნენ და საჩუქრად უბოძებდნენ ხოლმე მემამულეები თავიანთ ყმა-გლეხებს მიწიანად თუ უმიწოდ:

ა) გენერალ მაიორმა კაცო მარგანიმ აზნაურ ჰუსეინ ბალხუხ იფა ლაკერბასაგან 300 მანეთად იყიდა ყმა-გლეხი მაცი აგირბა (ეს ყმა-გლეხი გენერალ მარგანის ძემ პორუჩიკმა ტიტუ მარგანიმ გააზატა ხელმწიფე იმპერატორის გადარჩენის სახსოვრად მისი სიცოცხლის ავაზაკური ხელყოფისაგან);

ბ) აზნაურმა მურზაყან შარვან იფა მარგანიმ სოფელ ხუდაარში იმავე გენერალ კაცო მარგანის ორი კომლი ყმა-გლეხი მიჰყიდა, გვარად ზუხბები;

გ) თავადმა მიხეილ შერვაშიძემ სამი კომლი ყმა-გლეხი, გვარად აპუგვები, უბოძა საჩუქრად გენერალ კაცო მარგანის;

დ) ასევე თავადმა მიხეილ შერვაშიძემ უმიწოდ აჩუქა იმავე გენერალ კაცო მარგანის ერთი კომლი ყმა-გლეხი – დახუხქვა თარბა. გენერალმა კი ეს გლეხი თავის მამულ ხოფიში გადაიყვანა;

ე) აზნაურმა შარვან მარგანიმ ორი კომლი ყმა-გლეხი, გვარად არგუნები, მიჰყიდა აზნაურ უზბეკ მარგანის;

ვ) აზნაურმა ყიზილ ბეგ ჩაპიაგ იფა მარგანიმ ორი სული ყმა-გლეხი მიჰყიდა აზნაურ ტიტუ მარგანის სოფელ ჩოგურხვაში;

ზ) იმავე სოფელში აზნაურმა ნავროზ მარგანიმ ორი კომლი ყმა-გლეხი მიჰყიდა ტიტუ მარგანის, გვარად ათეზები;

თ) სოფელ ხოფიში მცხოვრებ გლეხთა დიდი ნაწილი სხვადასხვა ადგილებში უმიწოდ ნაყიდი ყმა-გლეხებია ამ მამულის მფლობელ გენერალ კაცო მარგანის მიერ, რომელმაც ისინი თავის მიწაზე დაასახლა;

ი) აზნაურმა ხალკოჩ იფა ლაკერბამ ხუთი კომლი ყმა-გლეხი გაყიდა, დახუხუათა გვარისანი, სოფელ დოურიფშში;

კ) აზნაურმა დრაკ მარგანიმ ყმა-გლეხი ნუგუ ხინტვა მიჰყიდა აზნაურ მაჰმუდ ზვანბაის;

ლ) აზნაურებმა მარგანებმა ყმა გლეხი სოგომუა ემბა მიჰყიდეს აზნაურ ხალიმ ზვანბაის;

მ) აზნაურმა თემურკვა ბლაბმა თავად დარუკვა ინალ იფას თავის ყმა-გლეხთა ვალდებულებების ნაწილი მიჰყიდა, რაც შედგებოდა საბატონო ბეგარისაგან და თითო თიკნისაგან ყოველი კომლისაგან, ხოლო მათი დანარჩენი ვალდებულებანი მემამულის მიმართ თავისთვის დაიტოვა;

ნ) თავადმა სოულახუ (კონსტანტინე) ინალ იფამ ოთხი კომლი ყმა-გლეხი უბოძა საჩუქრად თავად ამშუკ (ალექსანდრე) ინალ იფას;

ო) თავადმა სალიბეი ინალ იფამ თავისი ყმა-გლეხი კვასა ცილიცია უბოძა საჩუქრად თავად სოულახუ ინალ იფას;

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №33,34,35,36.

გაგრძელება იქნება

## ლტოლვილების დაბრუნება აგვისტომდე უნდა განხორციელდეს

გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში განიხილეს აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის გაფართოების ქართული პროექტი. განხილვაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ ადამია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი. პროექტი მთლიანად ეყრდნობა მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილებებს და ითვალისწინებს: საკონტროლო გამშვები პუნქტის ორგანიზებას გალის სიღრმეში, ერთობლივ პატრულირებას, პირადი შემადგენლობის როტაციას რაიონის სამშვიდობო ძალების შტაბის გადატანას გალში, ან ზუგდიდში. ლტოლვილთა უპირობო დაბრუნება გალის რაიონში აგვისტომდე უნდა დასრულდეს. თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის თქმით, საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ იგი პროექტს მოსკოვში წარადგენს დასამტკიცებლად. (ბი ჯი აი)

## კრედიტები კორუმპირებულმა ძალებმა მიითვისეს

ლეიბორისტული პარტიისა და საპარლამენტო ფრაქცია „ამომრჩევლის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრეს–კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოში კორუფციის ახალი ტალღა წამოვიდა. მისი თქმით, საქართველოსთვის გამოყოფილ კრედიტებსა და ინვესტიციებს გარკვეული ძალები ითვისებენ. ნათელაშვილის თქმით, ეს ძალები ნათელაშვილს აუცილებლად მიაჩნია პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის დაცვა და შემოსავლების შესახებ დეკლარაციის გამოქვეყნება. (ბი ჯი აი)

## ცხედრები თბილისში გადმოასვენეს

გუშინ ზუგდიდიდან აფხაზეთს გაემგზავრნენ 1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერას აეროპორტთან თვითმფრინავის აფეთქების შედეგად დაღუპულ ქართველ მებრძოლთა ნათესავები. ოფიციალური წყაროების ცნობით, აფხაზურმა მხარემ უზრუნველყო მათი და უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიის წევრთა უსაფრთხოება. ძმათა სასაფლაოდან 10 მებრძოლის ცხედარი გადმოასვენეს ზუგდიდში და დღეს გამთენიისას მოხდა თბილისში გადმოსვენება. (ბი ჯი აი)

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.№11 მე–10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 ლარი. ტელ. 23–26–83

---

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის ბინა, ჭერი 2.75. რემონტით, ტელეფონით, რკინის კარებით, გისოსებით, სარდაფით, სამზარეულო, აბაზანა კაფელში. გვერდიდან ემატება 3 ოთახი 60–60 კვმ, აქვს პატარა ეზო და გარაჟის ადგილი. ფასი 33000 დოლარი ტელ. 37–44–43

---

იყიდება 1,5 ოთახიანი ბინა, წერეთელზე 5 სართულიანი სახლის მე–5 სართულზე, გარემონტებული, ტელეფონით, წყლის გამაცხელებლით, ორი სარდაფით, ავტოფარეხით. ფასი 17000 დოლარი (ავტოფარეხის გარეშე 15000 დოლარი) ტელ. 34–14–13

---

იყიდება ერთოთახიანი ბინა ორსართულიანი სახლის მე–2 სართულზე, ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. მისამართი: გუთნის ქ.№11 ტელ. 93–18–41; 74–22–90 იკითხეთ ვაჟა

---

იყიდება 2 ოთახიანი ბინა, გადაკეთებული 3 ოთახად 75 კვმ საკუთარი ლოჯიით ქუჩის მხარეს. ეზოს მხარეს შემინული ლოჯია, სადაც განლაგებულია სველი წერტილები, მეზობელთან საერთო მოხმარებით. მე–3 სართული. მისამართი: მთაწმინდა, ყიფიანის №7 ტელ. 99–09–49 იკითხეთ ნაზიკო

---

სასწრაფოდ იყიდება 3 ოთახიანი გარემონტებული პრივატიზებული ბინა ვაკეში, მრგვალ ბაღთან, საერთო ფართით 106 კვმ, საცხოვრებელი 55 კვმ, ჭერის სიმაღლე 3.10 ფასი შეთანხმებით. ტელ. 23–37–33 ნოდარი.

---

იყიდება ვაზისუბნის მე–2 მიკრორაიონში გარემონტებული 3 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, სარდაფით, გარაჟით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38–99–73 კოტე

---

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის ნათელი კეთილმოწყობილი ბინა დიღმის მასივში ტელეფონით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ტელ. 93–26–90 გია

---

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, ახალი რემონტით, საერთო ფართი 100 კვმ, საწყისი ფასი 40000 დოლარი. ტელ. 34–17–16

---

ვყიდი 3 ოთახიან იზოლირებულ ბინას სამსართულიანი სახლის II სართულზე. შემინული აივნით. ეზოში მანქანის დასაყენებელი ადგილით, ტელეფონით. ტელ. 93–31–77 ნათელა

---

იყიდება მშენებარე, კერძო სამსართულიანი სახლი, ეზოთი, სახლის ფართობი 12X12, ეზოს ფართი 500 კვმ, ტელ. 99–94–31

---

იყიდება სასწრაფოდ 4 ოთახიანი სახლი, ბელეტაჟზე, ავეჯით გაწყობილი, დმანისის ცენტრში, ტყესთან ახლოს, ყველანაირი დამხმარე სათავსოებით, წყალი მუდმივად, ეზო 800 კვმ მსხმოიარე ხეხილით, ცალკე აქვს 2000 კვმ მიწის ნაკვეთი. ფასი 3000 ლარი. ტელ. 99–57–46; 31–02–51, დმანისში 2–16–95 ნანა

---

სასწრაფოდ და იაფად ვყიდი ახლაშენებულ 2 სართულიან სახლს უმაღლესი კაპიტალური რემონტით დუშეთის რაიონის სოფელ საშაბუროში ბაზალეთის ტბასთან ახლოს 4000 კვმ მიწის ნაკვეთით. ყველანაირად კეთილმოწყობილი. საწყისი ფასი 18000$ გვაწყობს თანხის ეტაპობრივი გადახდაც. ტელ. 68–82–09 გოგი

---

იყიდება ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე №8–ში, III სად. IX სართულზე, ოთახნახევრიანი ბინა. ფასი 14000 დოლარი ტელ. 29–18–17

---

იყიდება კერძო კაპიტალური სახლი, მეტრო „300 არაგველთან", ოთხი ოთახი, ყველა სათავსოებით, საერთო ფართი 130 კვმ, გარემონტებული, ორი სარდაფით. ფასი 37000 დოლარი. ტელ. 74–50–97

---

იყიდება ფინური კოტეჯი საძირკვლის ბლოკებითურთ, 2 ოთახი, სამზარეულო და შუშაბანდი. ფასი 1500 დოლარი. მის. რუსთავი. მაიაკოვსკის 11. ბინა 18 ტელ. 14–17–15

---

იყიდება მიწის ნაკვეთი მანგლისთან ახლოს ინდუისტების აგარაკზე. ფართი 600 კვმ, ფასი შეთანხმებით. ტელ. 74–53–13

---

იყიდება მეტრო „ღრმაღელესთან" 2 ოთახიანი ბინა, ლოჯით, ორი აივნით, სარდაფით, ტელეფონით. 8 სართულიანი სახლის მე–7 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38–88–96

---

ვყიდი არასტანდარტულ ბინას, საერთო ფართი 88 კვმ, საბურთალოზე გაგარინის ქუჩაზე ტელეფონით, ორი სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38–88–96 შეიძლება ოფისისათვისაც.

---

სასწრაფოდ იყიდება 3 ოთახიანი ბინა ტელეფონით, თემქაზე 9 სართულიანი სახლის მე–7 სართულზე. საერთო ფართი 72 კვმ, აქვს სარდაფი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი 8000 დოლარი. ტელ. 96–69–75

---

იყიდება თანამედროვე სტილში გარემონტებული ოფისი ალმაშენებლის გამზირზე 2 ოთახით და საჭირო ყველა სველი წერტილით. სასომხეთის საელჩოსთან. ფასი 18000 დოლარი. ტელ. 96–69–75

---

იყიდება 2 ოთახიანი ან იცვლება ერთოთახიანზე ამავე რაიონში არასტანდარტული მაღალჭერიანი ბინა. ფართი 70 კვმ, რკინის კარებით, სარდაფით, მანქანის სადგომით, ტელეფონით, საკაბელო ტელევიზიით. საწყისი ფასი 20000 დოლარი. ტელ. 38–22–20; 38–23–20

---

იყიდება კერძო სახლი, ეზოში რამოდენიმე ოთახით, დიდი ხეხილის ბაღით. სულ 700 კვმ, შეიძლება გაიყიდოს 350 კვმ სახლის ასაშენებლად. ფასი შეთანხმებით. I დოლაბაურის ქ №1 ტელ. 74–45–87

---

ვყიდი 2 ოთახიან ყაველაშვილის პროექტის ბინას. გამოცვლილი კარფანჯრით, სანტექნიკით და ელექტროობით. მეტრო „ვარკეთილიდან" 10 წუთის სავალზე, მე–9 სართულზე ფასი 6500 დოლარი. ტელ. 96–80–23 მანანა

---

იყიდება 3 ოთახიანი, მაღალჭერიანი, იზოლირებული, პრივატიზებული, არასტანდარტული ბინა ქალაქის ცენტრში, ბინის საერთო ფართი 100 კვმ სარდაფით, 21 კვმ, ბუხრით, შუქი მუდმივად. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99–97–79

## ვასწავლი

ვამზადებ გერმანულში და მუსიკაში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 62–05–62 მზია

---

შევასწავლი კლასიკურ მუსიკას და სიმღერებს ნებისმიერი ასაკის ბავშვს (პირველიდან შვიდი კლასის ჩათვლით) ბინაზე მისვლით. ძალიან იაფად, თვეში 10 ლარი. ტელ. 96–73–55; 35–01–86 ნონა

## ქირავდება

ქირავდება 15 კვმ ფართი მეტრო „ავლაბართან" მაღაზიისათვის ან ოფისისათვის. ფასი 100 ლარი. ტელ. 74–53–13

---

ქირავდება ბინა ვაჟა–ფშაველას მე–2 კვარტალში. 2 ოთახიანი სუფთა ბინა ლოჯიით. ფასი 250 დოლარი. ტელ. 66–06–96

---

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა დიდ დიღომში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38–08–25

---

ქირავდება 2 ოთახიანი ბინის 1 ოთახი მთაწმინდაზე. 1 გოგონაზე ტელ. 99–09–49

## ვულოცავთ

ჩვენო პატარა **მარიკა ბაბუა**, გილოცავთ დაბადების დღეს, გაიზარდე სასახელო და საამაყო. გაახარე შენი საყვარელი დედიკო და ყველა კეთილისმსურველნი.

ლია, ნათია და მაია

**მზია ჩადუნელს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერებას ლექსოსთან ერთად.

მზია და დათო

ჩვენს პაწაწინა, კუდრაჭა **მარიკა ბაბუას** ვულოცავთ დაბადების დღეს. შენი თანამდევი ყოფილიყოს ატმის აფეთქებული ყვავილივით მშვენიერი, ნათელი, უზრუნველი ბავშვობა. გისურვებთ ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მზესავით კაშკაშა მომავალს შენს საყვარელ დედიკოსთან ერთად.

ნათია და მაია მაზიაშვილები

ჩვენს საყვარელ **მაიკო ბარამიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ყოფილიყავი სულ ასეთი მშვენიერი, სათნო, უმანკო, შენი ლამაზი ბავშვობის დასასრული ყოფილიყოს გაზაფხულის მზესავით კაშკაშა, ლაჟვარდოვანი ზეცასავით კრიალა, იმედებით სავსე მომავლის ლამაზი გაგრძელება. გისურვებთ წყაროს წყალივით ანკარა სიყვარულს, დიდ ქალურ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, უამრავ სიკეთეს შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

ამირან (უნანა) და ლალი ბარამიძეები

**დალი**, მთელი სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს შენს პატარა მარიამთან და საყვარელ ახლობელ ადამიანებთან ერთად.

ლია ბზიკაძე

## რეზო თუთბერიძე



გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, თავისი ცხოვრების წესით სამაგალითო პიროვნება რეზო თუთბერიძე.

არცთუ დიდი ხნის წინ ტრაგიკულად დასრულდა მისი ერთადერთი ვაჟის, აფხაზეთის ომის გამორჩეული მებრძოლის, ბრწყინვალე ახალგაზრდა მწერლის გოგა თუთბერიძის სიცოცხლე. ერთადერთი იმედი, რაც ბატონ რეზოს ასულდგმულებდა, მისი პატარა შვილიშვილი, რატი გახლდათ, მაგრამ ტრაგედიით გამოწვეულ ტკივილს დიდხანს ვეღარ გაუძლო ბატონი რეზოს მოსიყვარულე გულმა .

დასრულდა კიდევ ერთი თავმდაბალი, უპრეტენზიო და დიდბუნებოვანი ქართველი ინტელიგენტის სიცოცხლე.

ღრმა მწუხარებას ვუცხადებთ მის მეუღლეს ქალბატონ დოდოს და პატარა რატის.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია

რეზო თუთბერიძის დაკრძალვა კვირას, 3 საათზე. ვაჟა ფშაველას მე–6 კვ. კორპ. 25.

## ნუგზარ მარსაგიშვილი



ცხოვრება გრძელდება, ზამთარს ზაფხული ცვლის, შენ, ჩვენო ნუგზარ, აღარ გაგათბობს მზე; შენი საყვარელი შვილი სალომეს, ძმიშვილების ვაჟა, მანანა, ბერდიას სიხარული. 21-აპრილს შენი დაბადების დღეა. დღეს უკვე 34 წლისა გახდი, როგორ გვენატრება შენი ლამაზი თვალები ყველას: ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს

ნათელში იყავი, ჩვენო ნუგზარ.

შენი ოჯახი, მეგობრები და ნათესავები


კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია ძლიერი ტექნიკით, გთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, ნებისმიერი სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის უმოკლეს ვადებში მომზადებას (აწყობა-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე).

გვაქვს ავტონომიური დენის წყარო.

მობრძანდით მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით.

მის: პუშკინის ქუჩა №5 მეორე სართ, ოთახი 207

ტელ: 93-19-99 (10-დან 19 საათამდე) ვმუშაობთ ყოველდღე.



კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

**მისამართი**: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60 ფაქსი: 29-49-61


## ჰოროსკოპი

### 19-21 აპრილი

ვერძი - გადაიღალეთ? დეპრესიას ნუ აყვებით, მიხედეთ ჯანმრთელობას.

კურო - ოჯახურმა ფუსფუსმა მძიმე ხასიათზე თუ დაგაყენათ, გაღიზიანებას ნუ მისცემთ გასაქანს, გაისეირნეთ, გარემო გამოიცვალეთ.

ტყუპები - სიხარული კარგი წინაპირობაა, რომ ოჯახს მიხედოთ და ნათესავები თქვენი ყურადღებით გაახაროთ.

კიბო - კარგი დრო გაქვთ მოგზაურობისათვის.

ლომი - მშვენიერ ხასიათზე დადგებით და თვითანალიზს შეუდგებით; კარგია ისეთ დროს მარტო ყოფნა, როდესაც მთელი სამყარო თქვენში ბობოქრობს.

ქალწული - მხიარული განწყობილება სამოგზაუროდ განგაწყობთ, ნუ ფიქრობთ ბევრს, მოგზაურობა სასიამოვნო იქნება.

სასწორი - ამდენი აწონდაწონვა არ შეიძლება, იფიქრეთ და გადაწყვიტეთ.

ღრიანკალი - აქტიური დასვენება, გარემოს გამოცვლა თქვენს ჯანმრთელობას და კარიერას სარგებლობას მოუტანს. ოღონდ ნუ გადაამლაშებთ, თავი შეიკავეთ ახლადგაცნობილ ადამიანებთან, ძალიანაც ნუ გადაუშლით გულს.

მშვილდოსანი - დრო მოგეცათ თვითანალიზისათვის. ძალიან კარგი, ოჯახი მთლად არ დაივიწყოთ.

თხის რქა - დაისვენეთ, იმოგზაურეთ.

მერწყული - სასწრაფოდ შეაჩერეთ უსაგნო ცხოვრება, მიხედეთ ოჯახურ საქმეებს და ყურადღებით მოეპყარით ოჯახის წევრებს.

თევზები - ჩვეულებრივი დღეების დასასრული მოგზაურობის დასაწყისია.

# ლატარეა ყველასათვის

**18 აპრილს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:**

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – №766242; | 70 ლარი – *69049; |
| 1000 ლარი – №538028; | 60 ლარი – *31524; |
| 900 ლარი – №629659; | 50 ლარი – *45121; |
| 800 ლარი – №674649; | 40 ლარი – *89781; |
| 700 ლარი – №213546; | 30 ლარი – *09306; |
| 600 ლარი – №718752; | 25 ლარი – *21835; |
| 500 ლარი – №616194; | 20 ლარი – *73233; |
| 400 ლარი – №530649; | 10 ლარი – ***244; |
| 300 ლარი – №268048; | 10 ლარი – ***000; |
| 200 ლარი – №530663; | 10 ლარი – ***088; |
| 100 ლარი – №536935; | 10 ლარი – ***212; |
| 90 ლარი – *12524; | 10 ლარი – ***728. |
| 80 ლარი – *68322; | |

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეთხუთმეტე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის XV ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **9861** გათამაშებაზე შეუძლიათ 25 აპრილს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა მოიგო ლატარიის ბილეთმა №**735046**. ფინური წარმოების ტრაქტორი მოიგო ლატარიის ბილეთმა №**694571**

**დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „საქართველოზე“ 1997 წლის მეორე ნახევრისათვის.**

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნე“-ს (ყოფილი „სოიუზპეჩატი“) ხელმოწერის რაიონულ უბნებში. შეგახსენებთ მისამართებს:

*– მოსკოვის გამზირი 18 ტელ. 71-32-87*

*– გლდანის რ-ნი, დუმბაძის 4ა კორპ. ტელ. 62-75-32*

*– დ.გურამიშვილის გამზ. №30 ტელ. 60-80-22*

*– ივ.ჯავახიშვილის (ყოფ.კალინინის) ქ.14 ტელ. 95-87-36*

*– ქეთევან წამებულის (ყოფ.შაუმიანის) გამზ. 61 ტელ. 74-14-47*

*– აკ.წერეთლის გამზ. 73 ტელ. 34-75-51*

*– რ.თაბუკაშვილის ქ.№12*

*– ცენტრალური ოფისი, გამსახურდიას გამზ.42 ტელ. 37-47-49; 93-43-97*

*– ჭავჭავაძის გამზ. 46 ტელ. 22-64-58*

ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისთან მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.

ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა; „მაცნე“-გარანტია ხელმომწერისათვის ჟურნალ-გაზეთების დროული და უდანაკარგო ჩაბარების.

ენდეთ ხელმოწერაში „მაცნე“-ს ნახევარსაუკუნოვან გამოცდილებას.

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## მ

მახლაური – 26 (თბილისი – 15; რუსთავი – 5; თეთრიწყარო – 4);

მახუაშვილი – 46 (ვანი – 39; ბაღდათი – 5; ქუთაისი – 1);

მაჯარაშვილი – 39 (საჩხერე – 14; ოზურგეთი – 5; თბილისი – 5);

მგლიშვილი – 30 (თბილისი – 6; დუშეთი – 5; მცხეთა – 19);

მებზევიშვილი – 23 (თბილისი – 5; ყვარელი – 18);

მედოლიშვილი – 38 (თელავი – 28; რუსთავი – 3; გურჯაანი – 2);

მედოშვილი – 41 (თბილისი – 15; ფოთი – 6; ახმეტა – 5);

მევლუფიშვილი – 26 (ლაგოდეხი – 3; თელავი – 1; თბილისი – 1);

მეთეფშიშვილი – 25 (გურჯაანი – 14; თბილისი – 11);

მეთოდიშვილი – 25 (გურჯაანი – 14; თბილისი – 11);

მეთოფიშვილი – 36 (თბილისი – 36);

მეისრიშვილი – 20 (გურჯაანი – 16; თბილისი – 4);

მეკალუაშვილი – 36 (თბილისი – 12; რუსთავი – 2; საგარეჯო – 22);

მელაიძე – 23 (ახმეტა – 18; თელავი – 4; რუსთავი – 1);

მელიტაშვილი – 21 (თბილისი – 10; გურჯაანი – 1; გორი – 1);

მელიქია – 48 (ფოთი – 25; თბილისი – 17; რუსთავი – 3);

მელიშვილი – 42 (თბილისი – 29; დუშეთი – 12; რუსთავი – 1);

მელქონაშვილი – 42 (სპინძა – 10; ქუთაისი – 9; რუსთავი – 5);

მელქოშვილი – 30 (თბილისი – 5; გურჯაანი – 1);

მემარნიძე – 32 (გურჯაანი – 25; თბილისი – 6; რუსთავი – 1);

მენაღარაშვილი – 42 (თბილისი – 20; მცხეთა – 6; ქობულეთი – 4);

მეოტიშვილი – 36 (ახმეტა – 28; თბილისი – 7; თელავი – 1);

მერკულაძე – 24 (ზუგდიდი – 2; ხელვაჩაური – 22);

მესერიძე – 35 (თბილისი – 14; ზესტაფონი – 7; ბორჯომი – 5);

მესირიძე – 45 (ქუთაისი – 17; ზესტაფონი – 7; თბილისი – 4);

მეფიშვილი – 29 (სენაკი – 19; თბილისი – 1; ხობი – 9);

მელვინეთუხუცესი – 25 (თბილისი – 23; ქუთაისი – 2);

მელვინიშვილი – 30 (თბილისი – 22; თელავი – 8);

მეჩითიშვილი – 30 (გორი – 17; თბილისი – 13;)

მეჩიტაშვილი – 22 (გარდაბანი – 3; თბილისი – 19);

მეძმარიშვილი – 33 (ქუთაისი – 11; თბილისი – 10; სამტრედია – 3);

მეხატიშვილი – 26 (თბილისი – 6; გორი – 4; დუშეთი – 1);

მეხატურიშვილი – 30 (გორი – 8; თბილისი – 1; მცხეთა – 21);

მზევაშვილი – 29 (თბილისი – 28; კასპი – 1);

მთავარაშვილი – 37 (გურჯაანი – 33; თბილისი – 4);

მთიბელაშვილი – 22 (რუსთავი – 11; თბილისი – 6; თელავი – 2);

მიკუტიშვილი – 23 (თბილისი – 16; ოზურგეთი – 4; საგარეჯო – 3);

მირაქიშვილი – 29 (თბილისი – 13; დედოფლისწყარო – 5; ყაზბეგი – 4);

მირზელაშვილი – 25 (თბილისი – 6; ლაგოდეხი – 3; გარდაბანი – 1);

მირილაშვილი – 43 (თბილისი – 23; ფოთი – 6; სამტრედია – 3);

მისკალიშვილი – 33 (თბილისი – 21; ყვარელი – 12);

მიქელაიშვილი – 41 (ბათუმი – 5; თბილისი – 5; ოზურგეთი – 2);

მიქელაია – 23 (ზუგდიდი – 11; წალენჯიხა – 4; თბილისი – 2);

მიყორაშვილი – 22 (დუშეთი – 14; დედოფლისწყარო – 1; თბილისი – 7);

მიჩინაშვილი – 32 (მცხეთა – 15; თბილისი – 12; ყვარელი – 5);

მიხაშვილი – 47 (თბილისი – 10; გორი – 1; გურჯაანი – 1);

მიხელაძე – 31 (თბილისი – 10; თერჯოლა – 6; ტყიბული – 6);

მკედელაძე – 43 (კასპი – 43);

მკერვალი – 28 (თბილისი – 6; ლანჩხუთი – 5; მცხეთა – 1);

მოდრეკელიძე – 33 (თბილისი – 25; კასპი – 7; ფოთი – 1);

მოვლილიშვილი – 37 (გურჯაანი – 24; თბილისი – 4; ყვარელი – .9);

მონადირაშვილი – 23 (თბილისი – 18; თეთრიწყარო – 2; რუსთავი – 3);

მონასერიძე – 20 (მცხეთა – 4; თბილისი – 3; გორი – 1);

მორბელაძე – 49 (თბილისი – 25; კასპი – 12; ახალგორი – 3);

მორჩილაშვილი – 22 (თბილისი – 13; რუსთავი – 4; ყვარელი – 2);

მოსეიშვილი – 21 (სიღნაღი – 8; რუსთავი – 5; ბათუმი – 4);

მოსელიძე – 34 (თერჯოლა – 25; ვანი – 7; თბილისი – 1);

მოსიკაშვილი – 47 (თბილისი – 28; გარდაბანი – 7; თიანეთი – 2);

მოსურაძე – 24 (თბილისი – 10; თელავი – 6; ლანჩხუთი – 2);

მოურავიძე – 28 (ახმეტა – 12; თბილისი – 10; თელავი – 4);

მოქრია – 44 (ბათუმი – 17; თბილისი – 17; ქობულეთი – 4);

მოყვანიძე – 21 (ბაღდათი – 15; ქუთაისი – 6);

მოშენაშვილი – 21 (ახალციხე – 4; თბილისი – 17);

მოძმანიშვილი – 46 (თბილისი – 42; მცხეთა – 4);

მოწონაშვილი – 20 (თბილისი – 20);

მსხილაძე – 36 (სამტრედია – 36);

მსხრიკაძე – 31 (სამტრედია – 29; ბათუმი – 1; ფოთი – 1);

მტრედაძე – 30 (მცხეთა – 22; თბილისი – 7; სენაკი – 1);

მუგალაშვილი – 33 (გორი – 22; ქარელი – 4; მცხეთა – 3);

მუზიაშვილი – 25 (გორი – 13; თბილისი – 8; კასპი – 3);

მუზიკაშვილი – 30 (ახმეტა – 30);

მურადიშვილი – 34 (ბათუმი – 7; თბილისი – 7; გორი – 4);

მურღულაია – 36 (სამტრედია – 33; თბილისი – 1; ბათუმი – 1);

მუფთიშვილი – 27 (ბათუმი – 24; ხელვაჩაური – 3);

მუქათარიძე – 36 (საჩხერე – 13; რუსთავი – 8; თბილისი – 6);

მუშტაშვილი – 46 (დუშეთი – 31; თბილისი – 8; თიანეთი – 3);

მუხრანელი – 45 (თბილისი – 26; მცხეთა – 11; გარდაბანი – 1);

მუჯარიძე – 42 (გორი – 10; თბილისი – 32);

მღარიშვილი – 25 (ახალციხე – 8; ბორჯომი – 8; ზესტაფონი – 6);

მღვდელიძე – 25 (საგარეჯო – 14; თბილისი – 7; ბოლნისი – 1);

მშვენიერიძე – 44 (თბილისი – 17; თიანეთი – 5; ბაღდათი – 4);

მჩითავიშვილი – 45 (თბილისი – 9; თელავი – 36);

მცურავიშვილი – 22 (გორი – 8; თბილისი – 8; კასპი – 6);

მცხეთელაძე – 32 (თიანეთი – 19; თბილისი – 11; მცხეთა – 1);

მძევალიშვილი – 23 (თბილისი – 11; მცხეთა – 12);

მწელიშვილი – 28 (დუშეთი – 11; თბილისი – 9; გარდაბანი – 1);

მწერლიშვილი – 23 (ბათუმი – 15; თბილისი – 2; ქობულეთი – 6);

მჭედელაძე – 25 (გორი – 8; ბორჯომი – 5; თბილისი –5);

მჭელდიშვილი – 20 (გორი – 8; თბილისი – 6; ახმეტა – 2);

მხარგრძელი – 43 (გურჯაანი – 22; თბილისი – 14; საგარეჯო – 6);

მხიარულაშვილი – 23 (კასპი – 13; თბილისი – 6; რუსთავი – 2).

# კაიფვორდი



**მწოლიარედ:** 3. თავის თავის ნახატი; 8. პაჭიკოს ინსტრუმენტი; 11. სალაქლაქო ორგანო; 12. ცხენის და ვირის შვილი; 13. პოეტი, რომელმაც „ნატვრის ხე“ დაუტოვა შთამომავლობას; 16. ნოეს კიდობანის პორტი; 17. ჭექა-ქუხილის დროს დაბადებული ქალი; 18. ნამგლის ამხანაგი საბჭოეთში; 22. ცხოველი, რომელიც კინაღამ დაღუპა ლამაზმა თავმა, უშნო ფეხებმა კი გადაარჩინა (სიმღ.); 23. კრიმინალთა დაჯგუფება; 26. „ჯამით“ მორთმეული ხელფასი; 29. სისხლის ნებით გამცემი ადამიანი; 30. ბულბულის სატრფო; 31. ვაჩნაძიანთ ტურფა ქალი; 32. პირდაღებული ლუმელი, რომელიც შეშის მაგიერ „ბუსა და ხარსა“ ნთქავს.

**მდგომიარედ:** 1. საიქიოს საოცნებო კუთხე; 2. დასალევად ვარგისი მუსიკალური ნოტა; 4. უსინათლო ნათელმხილველი; 5. იტალიის „პატარა“ დიდი მდინარე; 6. ვეფხვის ტყავით შემოსილი მოყმე; 7. კახურად ჯო, თბილისურად კი... 9. კიდობნების ოსტატი; 10. ბოროტი დამნაშავის მისამართი საიქიოში; 12. რომელი ცხოველი ეხმარება ნ.რამიშვილს ცეკვაში? 14. მევალე თვე; 15. „ურდოს“ მიერ შემოტანილი გადამდები ავადმყოფობა; 19. გადასახერხი ინსტრუმენტი; 20. რომელი მღვდლის შენდობისა არა გვჯერა? 21. ერი... პურადი, მებრძოლი თავის ბედისა; 24. ყველა ოჯახის დილის სტუმარი ინფორმატორი; 25. ბიჭი, რომლის სიზარმაცის ამბავი თხამაც კი გაიგო (მოთხ.); 27. მონოლოგი სიმღერით; 28. პატარა ბავშვის შორეთი.

**ნუნუ ლოლაშვილი**

## ᲬᲘᲜᲐ ᲙᲐᲘᲤᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

მწოლიარედ: 1. აუტსაიდი; 4. ნუმიზმატი; 10. ქლიავი; 11. დევი; 12. სკალპი; 14. ის; 15. გედი; 16. რადიოლა; 17. ჭია; 19. ვაშალომიძე; 20. ალმური; 22. ბრბო; 23. მელვინეთუხუცესი; 27. ეტიკეტი; 28. ბალანჩინი.

მდგომიარედ: 2. ტრაქეა; 3. დიდრო; 5. მამიდა; 6. ზის; 7. აზაზანა; 9. ასპირანტი; 8. გვარი; 10. ქუჩიშვილი; 11. დრო; 13. პიგმეი; 18. ჭოპორტი; 20. არია; 21. ბია; 24. ელია.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444